გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№108 (864) 18 – 20 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი



გვ. 3–4

## სკანდალური განცხადებები

### ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ბეჭდვური მედიისა და რადიოების მთავარ რედაქტორებთან



გვ. 8

### ვის წინააღმდეგ ვერ ამოიღო ხმა სამმა პრემიერმა

ვინ და რატომ შეუშალა ხელი საქართველოში ორმილიარდიან ინვესტიციას

### ზვიად ძიძიგური



„პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ძალაუფლებას მხოლოდ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენებს"

გვ. 5

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

### იაფი ბიზნესსესხი

30 000-დან 1 000 000 ლარამდე

გვ. 9

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

### ურთიერთპატივისცემას მოაქვს ნდობა

გვ. 2



### „ნაციონალური მოძრაობის ლუსტრაცია ვერ მოხერხდა, „ქართული ოცნება" გამოაშკარავებულია"

გვ. 7

რას პროგნოზირებს და რაში ამხელს ხელისუფლებას კობა დავითაშვილი

სამართალი

### არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

გვ. 11

### კრიმინალურ სამყაროს ისევ „ქართული დაჯგუფების ქურდები" მართავენ

შეიცვალა თუ არა საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები

გვ. 10

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ღირსეულებს შეუძლიათ ხელი ჩამოართვან
მოწინააღმდეგეს და მიულოცონ გამარჯვება



ურთიერთპატივისცემას
მოაქვს ნდობა

www.cesko.ge

# ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ბეჭდვური მედიისა და რადიოების მთავარ რედაქტორებთან




რუსუდან შელია
557-100-768

**17 ოქტომბერს, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ბეჭდვური მედიისა და რადიოების მთავარ რედაქტორებს შეხვდა, წინასაარჩევნო პროცესი და საპრეზიდენტო კანდიდატების შესაძლებლობები შეაფასა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეც ისაუბრა. პრემიერთან შეხვედრა გაზეთ „ვერსიის“ დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის, მაია ფურცელაძის კითხვებით დაიწყო:**

— **ფაქტია, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, კონფლიქტისპირა სოფლებში რუსეთის გააქტიურება გიორგი მარგველაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის პიარზე არ მუშაობს. ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი აცხადებს, რომ მას ამ მიმართულებით რეალობის შეცვლა შეუძლია. ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთი ამ ნაბიჯით მისთვის სასურველი კანდიდატისთვის ფონის შექმნას ცდილობს? და მეორე ვარიანტიც, იქნებ სადემარკაციო სამუშაოები ვილნიუსის სამიტის წინ შეგნებულად დაიწყო. ამ ფონზე, გაზაფხულზე, საერთაშორისო ფორუმის წინ, ვითარების უფრო გამწვავებას ხომ არ ელოდებით?**

— დიახ, რუსეთის ქმედებები ჩვენს წისქვილზე წყალს არ ასხამს და ვფიქრობ, დღეს უკვე არავის აქვს ილუზია, რომ მოსკოვიდან ვიმართებით. სამწუხაროდ, დიდი თამაშის წამოწყების საშუალება არ გვაქვს — ამ მიმართულებით ხელისუფლების ნაკლებეფექტურობა ცხრა წლის განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის ჩიხური მმართველობის შედეგია. ხშირად მსაყვედურობენ, მათ შორის მედიის წარმომადგენლებიც, რატომ არ ჩავედი ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში... რა უნდა გავაკეთო, ჩავიდე და მოსახლეობასთან ერთად ცრემლები ვაღვარღვარო?! დაზარალებულ ოჯახებს მაქსიმალურ ყურადღებას ვაქცევთ, მათ საკითხს მთავრობის სხდომებზეც განვიხილავთ. რაც შეეხება იმას, რუსეთის ქმედებები შეგნებულად უკავშირდება თუ არა ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს, პირადად მე, არ მგონია, ასე იყოს. ეს პროცესი, ალბათ, ვილნიუსის სამიტთან უფრო ახლო კავშირშია, თუმცა ეს ყველაფერი 2008 წელს დაიწყო და დღესაც გრძელდება. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ჩვენ ყველა ბერკეტი გვაქვს ევროპისკენ სვლის გასაგრძელებლად. სიმართლე გითხრათ, მესმის, როცა რუსეთს სამხედრო გაერთიანება ნატო არ მოსწონს, მაგრამ გაუგებარია, რატომ აცხადებენ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებას არ მიესალმებიან. რუსეთს ევროკავშირთან ყველაზე დიდი სავაჭრო ბრუნვა აქვს. როგორც ჩანს, თავადაც არ აქვთ გააზრებული, რას აკეთებენ. ვიმედოვნებ, გაუჩნდებათ სურვილი, ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდნენ.

— **განცხადებებში ხშირად აღნიშნავთ, 27 ოქტომბერს ქვეყანა ევროპული ტიპის არჩევნებს ატარებსო, მაგრამ თავადვე ამბობთ, რომ საზოგადოებას დემოკრატიის თვალსაზრისით განვითარება სჭირდება. საინტერესოა, თუ არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს ან მეორე ტური დაინიშნება, თქვენი ხელისუფლება რას აპირებს, სარეზერვო გეგმა გაქვთ?**

— საქართველოს მოსახლეობა ბრძენია — შესაბამისად, მეორე ტურს, პრაქტიკულად, გამოვრიცხავ. გიორგი მარგველაშვილი საკმაოდ წარმატებული კანდიდატია, მაგრამ თუ მართლაც მეორე ტური დაინიშნა, პირადად მე, გიორგის ვურჩევდი, მასში მონაწილეობა აღარ მიიღოს. შევეცდები, ჩემი პოზიცია აგიხსნათ: საქართველო ჩემთვის ოჯახია, სადაც, ვისაც რა შესაძლებლობა აქვს, ის უნდა აკეთოს. პოლიტიკაში სწორედ ამ ვალდებულების გრძნობით მოვედი. გიორგი მარგველაშვილიც ხელისუფლებაში მხოლოდ ვალდებულების შეგრძნებით მოდის და ამ დამოკიდებულების გამო, იდეალური კანდიდატია. თუ საზოგადოება ჩათვლის, რომ ტყუილად „ვიჭაჭებით“ და ჩვენს შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება, ბუნებრივია, აღებულ ვალდებულებებსაც მოვიხსნი. სხვათა შორის, არჩევნებამდე თავს ავადმყოფობის უფლებას არ ვაძლევდი, როგორც ჩანს, იმუნიტეტი გამომიმუშავდა და ვირუსის შემთხვევაში, ძალებს მალევე ვიღდგენდი. ფაქტობრივად, დღე და ღამე ვმუშაობდი — თავი გავწირე, მაგრამ ვიმეორებ, თუ საზოგადოება უარს იტყვის ჩემს შეთავაზებაზე, ჩემს სამსახურს თავს არავის მოვახვევ. იმასაც ამბობდნენ ჩემზე, ვიღაც რუხი კარდინალები მართავენო, მაგრამ გარწმუნებთ, ჩემი მართვა ძალიან რთულია — მე მხოლოდ საღი აზრი მმართავს. გიორგი მარგველაშვილიც სწორედ ასეთი პიროვნებაა... ამიტომ ვამბობ, რომ მეორე ტურში მონაწილეობას არ ვურჩევდი. ასეთ შემთხვევაში, თავს უფლებას მივცემ, თავისუფლად, ვალდებულებების გარეშე წავიდე. სააკაშვილს ეგონა, რომ საქართველო მან შექმნა და ქვეყანაც მის ირგვლივ ტრიალებდა, მე იგივეს არ გავიმეორებ. საზოგადოების ნაწილი მართლაც ოცნებობს, ხელისუფლებიდან მალე წავიდე, მათ შორის „მაესტროს“ ჟურნალისტები, რომლებმაც პირდაპირ ეთერში ქვეტექსტებით დააფიქსირეს, თუ როგორ ენატრებათ მიხეილ სააკაშვილი...



— **თეონა გეგელიას განცხადებას გულისხმობთ, როცა მან მიხეილ სააკაშვილსა და თქვენ შორის პარალელი გაავლო?**

— დიახ... როგორც ჩანს, ამ ადამიანებს მიშა ენატრებათ. თურმე როგორ გავბედე და ჟურნალისტებს არგუმენტირებული შენიშვნები მივეცი. წყენა ვერ დაფარეს — წავიდეს, თავი დაგვანებოს, მიშა რაღაც ფორმებს მაინც იცავდაო. თუ მოენატრათ, კი ბატონო, მიშა პრემიერობას ისედაც აპირებდა, ბაქრაძე მეორე ტურში გაიმარჯვებს და ეს ადამიანები ღმერთმა მოგახმაროთ — ისევ ტაშ-ფანდური იქნება. გიორგი მარგველაშვილმა არჩევნებზე 60%-ზე ნაკლები რომ მიიღოს, ჩემთვის ესეც შეურაცხმყოფელი იქნება. ასეთ შემთხვევაში ენთუზიაზმი დაბალი მექნება, მაგრამ ბუნებრივია, ჩემს გასაკეთებელ საქმეს მაინც გავაგრძელებ. ამომრჩეველს, ვისაც ესმის, რომ გულწრფელად ვცდილობთ ქვეყნის განვითარებას, მოვუწოდებ — არჩევნებზე აუცილებლად მოვიდნენ. მახსოვს, როცა ოპოზიციაში ვიყავით, მოსახლეობამ მომისმინა და ქუჩაში გამოვიდა. დღეს ამის საჭიროება აღარ არის — არჩევნებზე უნდა მოვიდნენ ის ადამიანები, ვისაც ჩვენი სჯერა. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ თქვენს მხარდაჭერასა და ნდობაში დავრწმუნდეთ. თუ ჩვენი მხარდამჭერები არჩევნებზე არ მოვლენ, ნაციონალები მეტს იაქტიურებენ. სხვათა შორის, საზოგადოების ამ ნაწილისაც კარგად მესმის. იმასაც გაგებით ვეკიდები, რომ შალვა ნათელაშვილს, რომელიც 20 წელია საზოგადოებას ატყუებს, დღეს 1-2% აქვს. გიორგი თარგამაძეს, რომელსაც მუდამ ქვეყნის საწინააღმდეგო პოზიცია ეკავა, იგივე პროცენტული მაჩვენებელი აქვს, არადა ეს ადამიანი ჩემთვის მოღალატის ეტალონია. მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, საზოგადოების ამ ნაწილის კეთილდღეობისთვისაც ვიღვწი, რადგან ეს იმის ბრალია, რომ მოქალაქეების უმრავლესობას სწორი ანალიზის უნარი არ აქვს და შეცდომაშია შეყვანილი. არ მაქვს პრეტენზია, რომ მხოლოდ ჩვენი იდეოლოგიაა სწორი. პირიქით, ჩვენ უნდა მივიღოთ საზოგადოება, რომელიც პოლიტიკურ ძალას მისი პროგრამიდან გამომდინარე აირჩევს. ნათელაშვილი ლამის მასხარა გახდა, მას იდეოლოგია არ აქვს და საზოგადოებას დღესაც დაკარგული ანაბრების დაბრუნებაზე ესაუბრება. ოდესღაც მას 20-30%-იანი რეიტინგი ჰქონდა და კარგია, რომ დღეს იგივე მაჩვენებელი არ აქვს. ნაციონალური მოძრაობა კი დღესაც ახერხებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა დაარწმუნოს, რომ მიხეილ საკაშვილი ერთადერთი კაცია, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა შეუძლია.

— **რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატი შეაფასეთ, თუმცა ნინო ბურჯანაძეს არ ახსენებთ, რომელიც თავს გიორგი მარგველაშვილის მთავარ კონკურენტად მიიჩნევს.**

— შიდაკვლევების მიხედვით, დავით ბაქრაძე ნინო ბურჯანაძეს მცირე მაჩვენებლით უსწრებს. თეორიულად, ისიც შესაძლებელია, მეორე ტურში ერთმანეთს ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე დაუპირისპირდნენ, მაგრამ პრაქტიკულად, ეს გამორიცხულია. თუ მოვლენები მართლაც ასე განვითარდა, ჩვენ გავეცლებით. ქართველებს საკმაოდ ლაკონური გამონათქვამი გვაქვს — როგორიც ბერი, ისეთი ერიო. ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება გაცილებით განვითარებულია და სხვანაირ მთავრობას მოითხოვს — სწორედ ისეთს, როგორიც ჩვენ ვართ, მაგრამ თუ ანალიზში ვცდები და საზოგადოებას სურვილი აქვს, ის მიიღოს, რაც წლების განმავლობაში ჰქონდა, ხელს არ შევუშლი. ღია კარის მტვრევას ნამდვილად არ ვაპირებ.

— **რას ნიშნავს „გავეცლებით“, ბრძოლა თავიდან უნდა დაიწყოთ?**

— ჩემი აზრით, საზოგადოებას აბსოლუტურად გააზრებული ჰქონდა, რომ ნაციონალური მოძრაობის მსგავსი მთავრობა არ უნდა ჰყოლოდა. ვფიქრობ, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საზოგადოება უფრო განვითარდა. ახლა, საპრეზიდენტო არჩევნებზე, ხალხი უფრო მაღალ დონეზე მომზადებული მოვა და მეორე ტურს არ დაუშვებს. სხვათა შორის, ბევრ ქვეყანაში ეგუებიან სააკაშვილისნაირ და მასზე უარეს მმართველებსაც, რაც იმის ბრალია, რომ მათ განვითარების ის დონე აქვთ, ქართულ საზოგადოებაში კი სხვანაირ მზაობას ვხედავ. მართალია, გიორგი მარგველაშვილი გამოცდილი პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ თუ ბოლო 20-22 წელს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ გამოცდილება ხშირად პოზიტიური სულაც არ არის. მაგალითად, კუკავაც არასერიოზული კაცია და ყოველთვის იმ მიმართულებით მიდის, სადაც ფულია. ახლა ამბობს, ივანიშვილმა რა თანხაც ჩადო პოლიტიკაში, იმის ამოღება უნდა და მიდისო. პრინციპში, კუკავასგან არაფერი უნდა გეწყინოს, მაგრამ მსგავსი განცხადებები გულს მტკენს. სხვათა შორის, არჩევნების პროცესში მასთან ბევრს ვმუშაობდი. მაჟორიტარობასაც ვთავაზობდი, მაგრამ ბოლო მომენტში უარი განაცხადა და საზოგადოებამ განსაჯოს, რატომ მოიქცა ასე. როცა ხუდონჰესთან დაკავშირებით ამბობს, ჭორვილას ასე ადვილად ვერ გაწირავდაო, ჭორვილასაც გავწირავდი და საკუთარ თავსაც იმისთვის, რომ ჩემი ქვეყანა უკეთ ცხოვრობდეს. არ ვსაუბრობ უსუფაშვილზე, რომელსაც არანაკლები სტაჟი აქვს. მას ბევრი ებრძოლეს და იმედგაცრუებულიც იყო. როგორც თავად მითხრა, მე რომ არ მოვსულიყავი, პოლიტიკიდან წასვლასაც აპირებდა. ასე რომ, მარგველაშვილს, შესაძლოა, დიდი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს, მაგრამ ყველა თვისება აქვს, რაც ღირსეულ პრეზიდენტს სჭირდება. იგი წარმატებული კაცია და ყველაფერი აქვს, რომ თავის ქვეყანას ემსახუროს. რაც მთავარია, სკამზე გამოკიდებული არ არის და იმიტომ არ მოდის, პირველ ან მეორე პირად ყოფნის ამბიცია აქვს. მას ხშირად ჩემს კრეატიულ ჯგუფში ვიწვევდი. მეც თავს კრეატიულად მივიჩნევ.

— **ნინო ბურჯანაძის შეფასებისგან ისევ თავს იკავებთ. თავად ნინო ბურჯანაძეც შეფასებებში პირადად თქვენ გიფრთხილდებათ, თუმცა თქვენს მიერ დასახელებულ კანდიდატს საჯაროდ აკრიტიკებს.**

— ჩემთვის გასაგებია, ნინო ბურჯანაძე რატომაც არ მაკრიტიკებს. მე გარკვეული იმიჯი მაქვს საზოგადოებაში და ამიტომ მიფრთხილდება. ფაქტია, ჩემი ზედმეტი კრიტიკა მას სარგებელს არ მოუტანს.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



## გიორგი თარგამაძე ბიძინა ივანიშვილისგან მილიარდ ლარს მოითხოვს

მას შემდეგ, რაც პრემიერმა პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი თარგამაძეს „მოღალატის ეტალონი“ უწოდა, ამ უკანასკნელმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, ჟურნალისტებს აცნობა, რომ ბიძინა ივანიშვილს სასამართლოში უჩივლებს და სარჩელს, ცილისწამებასთან დაკავშირებით, მომავალ კვირას შეიტანს: **„გადავწყვიტე, შევიტანო სარჩელი სასამართლოში, სადაც ბიძინა ივანიშვილს აუხსნიან რამდენიმე ქართული სიტყვის შინაარსს — რას ნიშნავს სახელმწიფო, რას ნიშნავს ღალატი. მას მოუწევს პასუხის გაცემა, საჯაროდ ბოდიშის მოხდა პირადად ჩემთვის, ჩემი ოჯახის წევრებისთვის და მოვითხოვ კონკრეტულ თანხას. ღირსება ძვირად მიღირს. ეს შეიძლება ციფრებში არ გამოიხატებოდეს, მაგრამ რამდენადაც სასამართლო პროცედურები ამას მოითხოვს, ერთი მილიარდი ლარი ის თანხაა, რომლის გადახდაც მოუწევს მილიარდერ ივანიშვილს“.**

ამასთან, გიორგი თარგამაძე აცხადებს, რომ მზად არის, ეს თანხა ივანიშვილის ერთ-ერთი „აუსრულებელი დანაპირების შესრულებას — ჰიდროელექტროსადგურების განვითარებასა და ტარიფების დაწევას მოახმაროს და მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობის პროექტში გადარიცხოს.

***„ინტერპრესნიუსი“***



## კახა კუკავა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

**„ბიძინა ივანიშვილს დაავიწყდა, რომ ქარვასლაში არ არის, პოლიტიკურ პროცესშია“,** — ასეთი შეფასება გააკეთა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა კახა კუკავამ, პრემიერისა და რედაქტორების შეხვედრის შემდეგ და მის მიმართ მთავრობის მეთაურის მიერ გაჟღერებულ „ბრალდებებსაც“ გამოეხმაურა: **„ძალიან სამწუხაროა, რომ ივანიშვილი თავისი განცხადებებით ძალიან ჰგავს პერსონაჟს ქართული მხატვრული ფილმიდან „ქეთო და კოტე“ — სულ ფული და ფული. მას დაავიწყდა, რომ ქარვასლაში არ არის, არამედ პოლიტიკურ პროცესში იმყოფება. ბიძინა ივანიშვილი ფულის გამო იყო სააკაშვილის, შევარდნაძისა და 9 აპრილის ჯალათის გენერალ ლებედის გვერდითაც. მადლობელი ვიქნები, თუ ბატონი ივანიშვილი დააკონკრეტებს, მე სად და როდის ვიყავი ვინმესთან ფულის გამო“.** საკრებულოს დეპუტატის თქმით, აქამდე კონფიდენციალურად ინახავდა ერთ თემას, რათა შარშანდელი სარჩევნო კამპანიის შესახებ „ქართული ოცნების“ იმიჯისთვის ზიანი არ მიეყენებინა, მაგრამ რადგან ივანიშვილმა გახსნა ეს თემა, უახლოეს მომავალში ჟურნალისტებს გადასცემს ინფორმაციას, **„როგორ ცდილობდნენ დღევანდელი მთავრობის მინისტრები და მრჩევლები მათი პარტიის მაჟორიტარების ფულით მოსყიდვას, რათა „ქართულ ოცნებაში“ გადასულიყვნენ. ამ კორუფციულ სქემაში ჩართული იყო ივანიშვილიც. რადგანაც ივანიშვილი ამ საკითხზე ალაპარაკდა, კონკრეტული პიროვნებების გვარებსა და სახელებს ვიდეომტკიცებულებების მითითებით წარმოვადგენ“.**

საკრებულოს დეპუტატი მისი მაჟორიტარობის თემასაც შეეხო: **„ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ბიძინა ივანიშვილი მეტყვის, როდის შემომთავაზა მაჟორიტარობა. როდესაც ნაძალადევში მსურდა დამეყენებინა კანდიდატურა, ბატონმა ბიძინამ ყველაფერი გააკეთა, ნაძალადევი არ მომეგო, მიუხედავად იმისა, რომ დიდი მხარდაჭერა მქონდა. ბიძინა ივანიშვილის ფარისევლობასა და არაგულწრფელობას ქართული საზოგადოებაც აუღებს ალღოს“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

# ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ბეჭდვური მედიისა და რადიოების მთავარ რედაქტორებთან



*მე-3 გვერდიდან*

არამარტო ნინო ბურჯანაძე, ვცდილობ, ნაციონალების კანდიდატიც არ გავაკრიტიკო, რადგან მინდა, წინასაარჩევნო პროცესი დაბალანსებულად წარიმართოს და ჩემი კრიტიკით ვინმეზე გავლენა არ მოვახდინო. ნინო ბურჯანაძე რთული შესაფასებელი არ არის, თანაც მისასალმებელია ის ფაქტი, რომ იგი არჩევნებში არასაპარლამენტო ოპოზიციიდან მონაწილეობს. ბურჯანაძეს ნონა გაფრინდაშვილი უჭერს მხარს, რომელიც ძალიან მიყვარს და ამასაც ვითვალისწინებ. საზოგადოებამ ამ პოლიტიკოსის წარსული და აწმყოც კარგად იცის, ამიტომ მისი კრიტიკა ამომრჩეველს ჩემს გარეშეც შეუძლია. ამასთან, მის შესახებ თავის დროზე ყველაფერი ვთქვი. დღეს ნინო ბურჯანაძეს შესატყვისი პოზიცია აქვს — ყველა კვლევის მიხედვით მესამე ადგილზეა 10%-ის ფარგლებში, ბაქრაძე კი მას 1-2%-ით უსწრებს. შიდაკვლევების მიხედვით, ამომრჩევლის დაახლოებით 2% ჯერ კიდევ ფიქრობს, ვის მისცეს ხმა, დაახლოებით 10% ბურჯანაძეს უჭერს მხარს, 12-დან 15%-მდე კი ბაქრაძეს. ერთი-ორი პროცენტი თარგამაძესა და ნათელაშვილს აქვს, რაც ჯამში, 30% გამოდის. რჩება 70%, რომელიც პოტენციურად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია, ამიტომ ჩვენი მხარდამჭერები არჩევნებში აუცილებლად უნდა მოვიდნენ.

— **საინტერესოა თქვენი ანალიზი. როცა საუბრობთ, რომ მომავალი 20 წლის განმავლობაში სამოქალაქო სექტორში იქნებით, ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლებაში დარჩება?**

— თუ პარტია იმუშავებს და საზოგადოებას „ქართული ოცნების“ მმართველობა მოეწონება, რატომაც არა, მაგრამ პირადად მე ვისურვებდი, საზოგადოება პლურალისტული გახდეს. ღმერთმა დაგვიფაროს, 20 წელი „ქართული ოცნება“ დარჩეს ხელისუფლებაში, აუცილებელია, ხალხს მეტი პოლიტიკური არჩევანის საშუალება ჰქონდეს. ვფიქრობ, შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიცია ერთიანობას შეინარჩუნებს და შესაძლოა, საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვოს. ამის შემდგომი პროცესები ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა. ნაციონალურ მოძრაობას კი აღორძინების პერსპექტივა არ აქვს, მით უმეტეს, იგივე სახელითა და ადამიანებით — იმდენად ძლიერი დამღა აქვთ, რომ ვერც ახალი იმიჯის შექმნა უშველით.

— **ზურაბ ჟვანიას საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა. გარდაცვლილი პრემიერის ძმა და რაულ უსუპოვის ოჯახი ახალ მტკიცებულებებზე საუბრობენ. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ და რამდენად შესაძლებელია, საზოგადოებამ სრულიად ახალი მტკიცებულებების შესახებ შეიტყოს?**

— ამ საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ ის ვიცი, რაც ზედაპირზე დევს. ეგსჰუმაციაზე საუბარი მიმდინარეობს, თუმცა არ იქნება ნორმალური, თითოეული მოწმის გვარი და დაკითხვის დეტალები ვიცოდე. ამის დრო არც მაქვს და არც არის ჩემი საქმე. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სერიოზული კითხვები არსებობს და ვიცი, გამოძიება მიმდინარეობს. გირგვლიანის საქმემაც წინ წაიწია. სხვათა შორის, „მაესტროს“ ეთერში თეონა გეგელია, დიანა ტრაპაიძე და ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ, ამბობდნენ, სტრასბურგის გადაწყვეტილების მიუხედავად, გირგვლიანის საქმე დღესაც თაროზეა შემოდებულიო. ჟურნალისტებს არც უკითხავთ, რომ წინა დღეებში მათივე ტელეკომპანიაში მყოფმა პროკურორმა განაცხადა, ამ საქმეზე ხუთი ადამიანის ბრალეულობა გამოიკვეთა, მათ შორის, მერაბიშვილი დაკავებულია, დათა ახალაია კი იძებნებაო. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ყველაფერი ობიექტურად უნდა შეაფასოთ.

ვფიქრობ, „მაესტროს“ ჟურნალისტები დაიბნენ და „დაგოიმდნენ“. კარგია თუ ცუდია, ჰგონიათ, ხელისუფლების გინება მათი ფუნქციაა და ყველაფერზე უნდა ვლანძღოთ. ის, რომ ასე ვიხსენიებ „მაესტროს“ ჟურნალისტებს, მათ ემოციას ზრდის. კარგია, ჩასაფრდნენ და მიმანიშნონ, ოღონდ დასაბუთებულად და არგუმენტირებულად. კრიტიკის მიმართ აბსოლუტურად ჯანსაღი დამოკიდებულება მაქვს.

— **სამხედრო ნაწილში ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 700 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი დაფიქსირდა. ამის შესახებ „ახალგაზრდა ადვოკატები“ განცხადებას ავრცელებენ და დასძენენ, რომ საქმის გამოძიების გაჭიანურების მიუხედავად, პროკურატურა საქმის გამოძიების პროცესს ზედამხედველობას არ უწევს. იგივე ორგანიზაცია პირადად ამ საქმით დაინტერესებისკენ მოგიწოდებთ, რადგან სამი თვეა, ამ მიმართულებით რეაგირება არ ხდება.**

— როცა ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი პირველად დაფიქსირდა, ალასანიამ დამირეკა და მითხრა, მნიშვნელოვანი არაფერი ხდებაო. იგივე ფაქტის განმეორების შესახებ მედიის საშუალებით, ორი კვირის წინაც შევიტყვე, მაგრამ რადგანაც ალასანიას არაფერი უთქვამს, ჩავთვალე, რომ ახლაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა. რა თქმა უნდა, ამ საქმით აუცილებლად დავინტერესდები. არ მესმის, რატომ ადევს ამ საქმეს გრიფი „საიდუმლო“, სააკაშვილის მთავრობაა? ვინ დაადო ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტს გრიფი? რა სახელმწიფო საიდუმლოება ესაა?! ეს კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს და ამ საქმით აუცილებლად დავინტერესდები.

— **თქვენ აცხადებთ, რომ ზეკაცის მოთხოვნილება საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს, თუმცა რეალურად, „პატრონის“ მოთხოვნილება დღემდე არსებობს. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი წასვლის შემდეგ ამ განწყობის გარდატეხა?**

— განცდა, რომ პატრონი აღარ გვინდა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებაში უნდა გაჩნდეს. დიახ, საზოგადოებაში ამის მოთხოვნილება ჯერ ისევ არსებობს და ამით პოლიტიკოსებიც სარგებლობენ. უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავად ვართ ჩვენი თავის პატრონები, ერთად კი დიდ ძალას წარმოვადგენთ. ეს ქვეყანა არც სააკაშვილისაა და არც ივანიშვილის, ჩვენ, ყველას, თანაბრად გვეკუთვნის და უნდა ავიღოთ კიდეც ჩვენი წილი პასუხისმგებლობა მიმდინარე პროცესებზე, არჩევნებზე არჩეული ძალა უნდა ვაკონტროლოთ და მუდმივად შევახსენოთ, რომ ჩვენ ვუხდით ხელფასს, ამიტომ კეთილი ინებოს და, ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც საზოგადოებას გვსურს.

— **ამ ერთი წლის განმავლობაში მედიის მიმართულებით, ასევე პენიტენციალურ და სასამართლო სისტემაში რეფორმები მართლაც გატარდა, თუმცა თვითმმართველობის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება. ფიქრობთ, ამ მიმართულებით ცვლილებები თქვენი პრემიერობის ვადებში მოესწრება?**

— ხელისუფლებაში მოსვლამდეც ვამბობდი, რომ თვითმმართველობის შესახებ კანონი აუცილებლად შესაცვლელია, თუმცა, საუბედუროდ, ამ რეფორმის გატარება სწრაფად ვერ მოხერხდა. ამ საკითხზე ფინალურ შეხვედრებს ვატარებ როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის წევრებს შორის, ასე რომ, ვფიქრობ, არჩევნებამდე მის დამტკიცებას პარლამენტი მოასწრებს. დიახ, დროში ნამდვილად ვეტევით.

— **საკმაოდ მტკივნეული საკითხია ე.წ. ოდეერის ინსტიტუტიც, რომელიც დღესაც არსებობს. თუ თანამედროვე ქვეყანაზე პრეტენზია გვაქვს, არ ფიქრობთ, რომ ამ მიმართულებითაც სამუშაოა?**

— მთავრობის სხდომაზე ამ საკითხზე ორჯერ მქონდა განხილვა და კრიტიკული პოზიციებიც მოვისმინე. სამწუხაროდ, დეტალებს ვერ გავახმაურებ, მაგრამ ამ მიმართულებითაც მდგომარეობას შევცვლით. ჩვენ მაქსიმალურ გამჭვირვალობას უნდა მივაღწიოთ.

# ზვიად ძიძიგური: „პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ძალაუფლებას მხოლოდ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენებს“



კახა მაისურაძე

**საპრეზიდენტო არჩევნებამდე უმცირესი დრო დარჩა. პრეზიდენტობის კანდიდატებმა, შეიძლება ითქვას, რაც რამ სიკეთე გააჩნდათ, უკვე გააცნეს ამომრჩეველს და მათგან რაიმე განსაკუთრებულს აღარ უნდა ველოდეთ — დარჩენილ დროს მოსახლეობასთან შეხვედრებსა და უკვე ნაცნობი წინასაარჩევნო დაპირებების ხელახლა გამეორებაში დახარჯავენ.**
**არაერთი ობიექტური ორგანიზაციის კვლევა ადასტურებს, რომ წინასაარჩევნო მარათონში გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს. რეიტინგის გათვალისწინებით, მარგველაშვილს პირველ ტურში გამარჯვება არ გაუჭირდება, მეორე-მესამე ადგილებისთვის ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე იბრძოლებენ, დანარჩენი კანდიდატების შანსები კი იმდენად მცირეა, რომ შეიძლება ითქვას, მათი განხილვა არც ღირს. წინასაარჩევნო გარემოზე, საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური გვესაუბრება.**

**— ბატონო ზვიად, რა უპირატესობა აქვს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს ნინო ბურჯანაძესა და დავით ბაქრაძესთან შედარებით, რომლებიც რეიტინგით მარგველაშვილს კი ჩამორჩებიან, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი კანდიდატები არიან?**

— გიორგი მარგველაშვილს სერიოზული უპირატესობა აქვს ამ ორ და, ზოგადად, ყველა სხვა კანდიდატთან შედარებით. მხოლოდ მას შეუძლია, პატიოსნად შეასრულოს დანაპირები. რატომ შეძლებს დაპირების შესრულებას მარგველაშვილი და რატომ ვერ შეძლებენ თუნდაც ბურჯანაძე და ბაქრაძე? ამას მარტივი ახსნა აქვს. მარგველაშვილს საპარლამენტო უმრავლესობისა და მინისტრთა კაბინეტის სრული მხარდაჭერა აქვს. მის მიერ გაცემული ნებისმიერი დაპირება, ჩვენი გუნდის დაპირებაა, რომლის შესასრულებლად, გიორგისთან ერთად, პარლამენტიც და მინისტრთა კაბინეტიც ერთნაირი მონდომებით გაირჯება. დაპირებებს ვერ შეასრულებენ ქალბატონი ბურჯანაძე და ბატონი ბაქრაძე. ნინო ბურჯანაძის მთავარი დაპირებაა, რომ აღადგენს სამართლიანობას. მას ერთი მარტივი, მაგრამ უმთავრესი რამ გამორჩა მხედველობიდან — სამართლიანობის აღდგენა შეუძლია სასამართლოს და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. სასამართლოში უამრავი საქმეა გადაგზავნილი და იმედია, მოსამართლეები სამართლიან გადაწყვეტილებებს მიიღებენ. წარსულს ჩაბარდა დრო, როცა სამართლიანობის საკითხი კონკრეტული პიროვნებების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, კანონის უზენაესობას ფეხქვეშ თელავდნენ და რამდენიმე ადამიანი წყვეტდა, ვინ უნდა გაესამართლებინათ, ვინ არა, ვინ უნდა ედევნათ, დაესაჯათ და ვინ არა, ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი... ასე რომ, ბურჯანაძე, უბრალოდ, სიმართლეს არ ეუბნება ამომრჩეველს. დავით ბაქრაძე კი, პრეზიდენტობის შემთხვევაში (რაც არასოდეს მოხდება) ხალხს მთავრობის ერთად კონტროლს პირდება. ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო. კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში მეორე პირს სოლიდური უფლებამოსილება გააჩნდა, თუმცა მაშინ არ გახსენებია არც მთავრობის და არც პრეზიდენტის კონტროლი. არ მახსენდება და ვეჭვობ, ვინმემ გაიხსენოს თუნდაც ერთი ფაქტი, ბაქრაძეს გამოემჟღავნებინა სააკაშვილის მთავრობის კონტროლის სურვილი. არ მახსენდება ერთი შემთხვევა, რომ პარლამენტს, როგორც სოლიდურ სახელმწიფო ინსტიტუტს, ხელი შეეშალა იმ უამრავი დანაშაულიდან ერთისთვის მაინც, რაც ქვეყანაში სისტემატურად ხდებოდა... საქართველოს მოსახლეობამ ეს ყველაფერი კარგად იცის. შესაბამისი დასკვნებიც ხალხს უკვე გაკეთებული ექნება და ვფიქრობ, ამომრჩეველი 27 ოქტომბერს არჩევანს მარგველაშვილის სასარგებლოდ გააკეთებს.

**— გიორგი მარგველაშვილი ხალხს ნაციონალებთან კოჰაბიტაციის დასრულებას ჰპირდება, რაც საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოთხოვნაცაა. ბევრს მიაჩნია, რომ ამ პროცესის დასრულება პრეზიდენტად მხოლოდ მარგველაშვილის არჩევის შემთხვევაშია შესაძლებელი, რადგან სხვა, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის ლიდერის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, „ქართულ ოცნებას“ უკვე ამ ახალ პოლიტიკურ ძალასთან მოუწევს იძულებითი კოჰაბიტაცია. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— აბსოლუტურად მართებული მოსაზრებაა და ამავე დროს, ძალიან სერიოზული არგუმენტი გიორგი მარგველაშვილის სასარგებლოდ. კოჰაბიტაციის პროცესი, რომელიც მძიმედ და უსიამოვნოდ მიმდინარეობს, უნდა დასრულდეს. ცხადია, ეს მოხდება მაშინ, თუ კოალიციის კანდიდატი გახდება პრეზიდენტი, ნებისმიერი სხვა კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში, კოჰაბიტაცია გაგრძელდება. დავუშვათ, ბაქრაძე გახდა პრეზიდენტი, სცენარი არ შეიცვლება: ორ პოლიტიკურ ძალას კვლავ პოლიტიკური უთანხმოება ექნება, ბაქრაძე ვერ იქნება ფიგურა, რომელიც ხელს შეუწყობს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მუშაობას, ვერ დააბალანსებს მათ და ვერც დემოკრატიული პროცესის განვითარებას შეუწყობს ხელს. ის წარმოადგენს იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის ლიდერიც მიხეილ სააკაშვილია და რომელსაც, ამ ეტაპზე, ერთადერთი მიზანი აქვს — ხელი შეუშალოს დღევანდელ ხელისუფლებას მუშაობაში, რაც მან არაერთხელ დაამტკიცა. ბაქრაძეც იმას გააკეთებს, რა დავალებებსაც სააკაშვილისა და ნაციონალებისგან მიიღებს. ბურჯანაძე რომ გახდეს პრეზიდენტი, სცენარი სხვა იქნება, მაგრამ კოჰაბიტაცია გაგრძელდება. „ქართული ოცნება“ ევროკავშირსა და ნატო-სთან ინტეგრაციის მომხრეა. ეს არ არის ჩვენი მხოლოდ დეკლარირებული განცხადება — ამ გზით მივდივართ და მნიშვნელოვანი წარმატებებიც გვაქვს ამ კუთხით. ნინო ბურჯანაძეს ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით, რადიკალურად განსხვავებული ხედვა აქვს და მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ქვეყნის საგარეო კურსს სერიოზული საფრთხე შეექმნება, მთავრობას ხელი შეეშლება საქმიანობაში, დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესი შეფერხდება... ასეთი ხელისშემშლელი ფაქტორები კი, უსაგნო დავა და კამათი, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის საგარეო კურსი, საქართველოს არაფერში სჭირდება, ეს მხოლოდ დროს დაგვაკარგვინებს.

**— ამ სამი მთავარი კანდიდატის წარსულზე, მათ ადრინდელ პოლიტიკურ საქმიანობაზე რას გვეტყვით?**

— გიორგი მარგველაშვილის წარსულში, არც პირად ცხოვრებაში და არც პოლიტიკურ საქმიანობაში, ერთი შავი ლაქა არ არსებობს... ასე რომ არ იყოს, მერწმუნეთ, მისი კონკურენტები ყველას გააგებინებდნენ. მარგველაშვილი ინტელექტუალი და ჩინებული მენეჯერია, რასაც ადასტურებს მისი ხანმოკლე, მაგრამ ძალზე წარმატებული საქმიანობა განათლების მინისტრის პოსტზე. მოსწავლეთათვის უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემა — ეს სიკეთე უამრავ ოჯახს შეეხო, დიდი შეღავათი მიიღო ხალხმა; გაიზარდა პედაგოგების ხელფასები, რეგიონებში მრავალი ისეთი სოფელია, სადაც სკოლები მიუდგომელ ადგილებშია და მოსწავლეები ვერ დადიოდნენ, სასწავლო პროცესიც შეფერხებით მიმდინარეობდა, ზოგან საერთოდ შეწყვეტილი იყო, მარგველაშვილის ინიციატივით კი, ამ სკოლებს გადაეცა შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებები, მოსწავლეები უკვე უპრობლემოდ დადიან სკოლებში და სასწავლო პროცესიც შეუფერხებლად მიმდინარეობს. გაიზარდა სოციალურად დაუცველი იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს. სოციალურად დაუცველ სტუდენტებს აქამდე სახელმწიფო არ უხდიდა სწავლის გადასახადს. მარგველაშვილმა, ასეულობით ასეთ სტუდენტს მისცა უმაღლესი განათლების სახელმწიფოს ხარჯზე მიღების საშუალება. მისი მინისტრობის დროს შემოიღეს უფასო ფაკულტეტებიც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 9 თვეში მეტი რა უნდა გაეკეთებინა? ამ თემებზე გიორგი თავად არ საუბრობს, მაგრამ წინასაარჩევნოდ მოსახლეობამ უნდა გაიხსენოს ყველაფერი.



ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური წარსული ყველას კარგად ახსოვს: ის ორჯერ ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას. ერთხელ, სწორედ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომელიც ულმერთოდ გაყალბდა — ნაციონალური მოძრაობის მიერ ასე უსინდისოდ, ასეთი გაყალბებით ჩატარებული არჩევნები არ მახსენდება. ლიდერებზე, ოპონენტებზე, ამომრჩევლებზე პირდაპირ ძალადობდნენ სახელისუფლებო სტრუქტურები; გაყალბების მასშტაბი კი ისეთი იყო, რომ უკვე ღიმილს იწვევდა. მაგალითად, მარნეულის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში 1500 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. ოქმის მიხედვით, ყველა მივიდა არჩევნებზე და ყველამ სააკაშვილის მისცა ხმა. 100 უბნის ამგვარი ოქმი მქონდა და ამ ოქმების გამოფენაც კი მოვაწყვე მაშინ. ბურჯანაძეს კი ამ და სხვა უამრავ დარღვევაზე, უდიდესი მასშტაბის დანაშაულზე ყურადღება ვერ მივაქცევინეთ და შემდეგ გვიმტკიცებდა, უპრეცედენტოდ დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები ჩატარდაო. 2007 წლის 7 ნოემბერს, ნინო ბურჯანაძისა და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია მშვიდობიანი აქცია, ტელეკომპანია „იმედში“ ბარბაროსულად შეიჭრნენ სპეცრაზმელები... ორი დღის შემდეგ პარლამენტში გამოვიდა ბურჯანაძე, გაამართლა ხელისუფლების ძალადობა და ხალხს, ვინც ამ მშვიდობიანი აქციის სათავეებთან ვიდექით, პრაქტიკულად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაგვდო ბრალი. მას მაშინ არც „იმედის“, მისი ჟურნალისტების დასაცავად ამოუღია ხმა. კიდევ ბევრი ცოდვა შეიძლება გავიხსენო ბურჯანაძის პოლიტიკური წარსულიდან, მაგრამ ესეც საკმარისია. კი, შემდეგ ოპოზიციაში ვაჟკაცურად გადმოვიდა, მაგრამ ხელისუფლებაში მისი მოსვლა არ შეიძლება — იმაზე უკეთესს არაფერს გააკეთებს, რასაც სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნისას აკეთებდა. მას ძალაუფლებაც ჰქონდა და გავლენაც, მაგრამ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ბურჯანაძე არ უნდა მიუშვა ძალაუფლებასთან ახლოს. მან საკუთარი პოლიტიკური წარსულით დაამტკიცა, რომ ვერ იქნება ხალხზე მზრუნველი პრეზიდენტი.

დავით ბაქრაძე კალენდრიდან ჩამოხეული ფურცელი, გუშინდელი დღეა. მისი პარლამენტის თავმჯდომარეობისას პარლამენტი გადაიქცა მიხეილ სააკაშვილის ნების აღმასრულებელ კანტორად — სააკაშვილის ყველა ახირებას პარლამენტი სწორედ ბაქრაძის მეთაურობით აქცევდა კანონად, ბაქრაძეს და მისდროინდელ პარლამენტს არც ერთხელ დაუბლოკავთ სააკაშვილის ის საკანონმდებლო ინიციატივები, რამაც მას განუსაზღვრელი ძალაუფლება მიანიჭა და ტიპურ ავტოკრატიულ მმართველად ჩამოაყალიბა. დღეს ნაციონალების კანდიდატი დემოკრატიას გვიწუნებს, მაგრამ როცა პარლამენტი სააკაშვილს დაუქვემდებარა, დემოკრატია და მისი მთავარი პრინციპები არ გახსენებია. პრეზიდენტის მიმართ პარლამენტის ეს მონური დამოკიდებულება ნინო ბურჯანაძის დროს დაიწყო და დავით ბაქრაძემ ეს ტრადიცია წარმატებით გააგრძელა.

**— რა მიზეზით აიხსნება ის, რომ დღემდე ჩატარებული ყველა არჩევნებისგან განსხვავებით, ახლა მეტად მშვიდი წინასაარჩევნო გარემოა?**

— მართლაც, ძალიან მშვიდი საარჩევნო გარემოა და ეს, ცხადია, უპირველესად, ხელისუფლების დამსახურებაა. წინასაარჩევნო პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალედ, დემოკრატიულად, ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს თანაბარი პირობები აქვს, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. პრაქტიკულად, არ შეიმჩნევა დარღვევები და ეს გრძელვადიანი საერთაშორისო დამკვირვებლების ანგარიშებშიც აისახა. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე, ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა და მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ შეძლეს უპრეცედენტოდ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რომელიც ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა“ მოიგო. მას შემდეგ, ნორმალურ ვითარებაში, სტრესის, გაყალბებისა და სხვა ათასი უბედურების გარეშე, საქართველოში არც ერთი არჩევნები არ ჩატარებულა. ეს საარჩევნო პროცესი თავისი სიმშვიდით, არაკონფრონტაციული ვითარებით, ძალიან ჰგავს იმ არჩევნებს. დარწმუნებული ვარ, შევძლებთ კონკურენტული, მაგრამ სამართლიანი, დემოკრატიული, ნამდვილი ევროპული არჩევნების ჩატარებას. ნაციონალები კი ამბობენ, რომ არის დარღვევები. რაღაც კონკრეტულ ფაქტებზეც ლაპარაკობენ, მაგრამ ამგვარი დარღვევები ყველგან ხდება. სადღაც ვიღაცამ თუ მათი პლაკატი ჩამოგლიჯა, ეს უმნიშვნელო ფაქტია და ასეთი ფაქტები ვერ შელახავს წინასაარჩევნო დემოკრატიულ პროცესს. ამგვარი რამ ევროპის ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხდება. ნაციონალებმა, უმჯობესია, ის გაიხსენონ, რა ვითარებაში ატარებდნენ არჩევნებს, რა დღეში ჩააგდეს ხალხი შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების წინ... დღეს, მათგან განსხვავებით, ხელისუფლება არ ძალადობს ხალხზე, არავის უდებს ძალით ნარკოტიკს, არავის აშინებს და აშანტაჟებს, რომ ამ გზით ხმები მოიპოვოს. არც განსხვავებული პოლიტიკური გემოვნების გამო ათავისუფლებენ სამსახურებიდან და არც პატიმრების ახლობლებს ჰპირდება ვინმე, თუ ის ხელისუფლების კანდიდატის სასარგებლოდ იმუშავებს, გარკვეული რაოდენობის ხმებს მოუგროვებს „ქართულ ოცნებას“, მის პატიმარ ახლობელს შეიწყალებენ. ამ თემებით სპეკულირება და ამგვარი მანიპულაციები წარსულს ჩაბარდა. ერთ მნიშვნელოვან ფაქტორსაც გავუსვამ ხაზს — ეს მშვიდი წინასაარჩევნო გარემო, დიდწილად, ჩვენი კანდიდატის დამსახურებაა. მარგველაშვილი გაწონასწორებული, მშვიდი, უკონფლიქტო ადამიანია. მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, იგი არც ერთხელ აჰყოლია ემოციებს, პატივისცემით ეპყრობა ნებისმიერ კონკურენტს, მათთან თუ მათ მომხრეებთან ურთიერთობაში ყოველთვის იცავს მორალურ კრიტერიუმებს. ეს იგრძნობა ხალხთან მისი წინასაარჩევნო შეხვედრებისას, დებატებისას თუ სხვა სახის გამოსვლების დროს. ვერავინ გაიხსენებს ერთ შემთხვევასაც კი, რომ მან კონკურენტის შესახებ აუგი, ან რაიმე უკადრებელი თქვა. მარგველაშვილმა, პრაქტიკულად, თამაშის სამართლიანი წესები დაუდგინა კონკურენტებს და ისინიც ამ წესებს დაემორჩილნენ.

**— ზოგიერთი საპრეზიდენტო კანდიდატი არჩევნების მეორე ტურის გარდაუვალობაზე ლაპარაკობს. თქვენი აზრით, აქამდე მივა საქმე?**

— მეორე ტურის გამართვის შანსი, პრაქტიკულად, არ არსებობს. გიორგი მარგველაშვილი პირველ ტურში გაიმარჯვებს — დაახლოებით, ხმების 60%-ს მიიღებს, რასაც მთელი რიგი წინასაარჩევნო კვლევები ადასტურებს. გარდა ამისა, საკმაოდ სოლიდური პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, არაერთ არჩევნებში მიმიღია მონაწილეობა და ეს გამოცდილებაც მაძლევს ამის თქმის საფუძველს.

**— გაპრეზიდენტების შემთხვევაში, გიორგი მარგველაშვილი რამდენად გაუძლებს ძალაუფლების ცდუნებას?**

— ამის საფრთხე ნამდვილად არ არსებობს... გიორგი მარგველაშვილი ინტელექტუალია და ბოლომდე აქვს გააზრებული თავისი გადაწყვეტილება — გახდეს საქართველოს პრეზიდენტი. განათლების მინისტრად მუშაობდა, მაგრამ ძალაუფლების უმნიშვნელო გადაცდომაც არ დაფიქსირებულა მისი მხრიდან. მარგველაშვილი არ ელტვის ძალაუფლებას, მაგრამ თუ ხალხმა მიანიჭა, ამ ძალაუფლებას მხოლოდ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენებს.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# „არჩევნების შემდეგ საზოგადოება ისევ იმედგაცრუებისთვისაა განწირული“

**საქართველოში, სადაც მძიმე ეკონომიკური ვითარებაა, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალურად შეჭირვებულია, პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს ეკონომიკური პროგრამა არ აქვს. ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე კანდიდატები არ საუბრობენ და არც მათ მოგვარებას გვპირდებიან. „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა, ლევან კალანდაძემ „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, ამის მიზეზები ახსნა. პრეზიდენტობის კანდიდატები ეკონომიკური და სოციალური ხასიათის დაპირებებით თავს იმ მარტივი მიზეზის გამო არ იწუხებენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ მათ ამ პრობლემის რეალურად გადაჭრის საშუალება აღარ ექნებათ! გარდა ამისა, ორი მთავარი გზავნილი, რასაც ლევან კალანდაძემ „ვერსიასთან“ ინტერვიუში ხაზი გაუსვა, ისაა, რომ ამომრჩეველი ხმას კანდიდატის პროგრამას კი არ აძლევს, არჩევანს ემოციურად აკეთებს, შემდეგ კი, გადის დრო და საზოგადოება აცნობიერებს, რომ ხელისუფლება დაპირებებს არ ასრულებს.**

**— ბატონო ლევან, რატომ არ აქვთ პრეზიდენტობის კანდიდატებს ეკონომიკური პროგრამები?**

— ამის ობიექტური მიზეზი ისაა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ანუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ძალაში შედის ახალი რეგულაციები, რომლითაც პრეზიდენტი ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური აღარ იქნება. მისი უფლებამოსილება და გავლენის სფეროები მთავრობასა და მათ შორის, ეკონომიკურ ინსტიტუციებზე მნიშვნელოვნად შემცირდება. პრეზიდენტი ქვეყნის შიგნით, კონფლიქტების მართვის მენეჯერის ფუნქციას იღებს. ამ თვალსაზრისით, სწორია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები საზოგადოებას დაპირებებსა და მესიჯებს არ უგზავნიან. მეორე მხრივ, პრეზიდენტი მაინც ქვეყნის საგარეო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკური ვექტორის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. გარდა ამისა, მედიაციისა და კონფლიქტების მართვის ფუნქცია საჭიროებს გარკვეულ ხედვებს, მათ შორის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, რასაც პრეზიდენტი თუ არ მართავს, უნდა აბალანსებდეს მაინც. არსებობს სუბიექტური მიზეზიც — სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება და ამომრჩეველი, ევროპელთან შედარებით, ნაკლებად პრაგმატულია და არჩევანს პროგრამების მიხედვით კი არა, ემოციის დონეზე აკეთებს. შესაბამისად, ქართულ პოლიტიკაში გარკვეული ტრადიცია ჩამოყალიბდა და მაპატიეთ, მაგრამ პოლიტიკოსები ზედმეტად აღარ იწუხებენ თავს წინასაარჩევნო პროგრამების მომზადებით. სხვა საკითხია, რომ პროგრამის მომზადებას გარკვეული კვალიფიკაცია და შრომა სჭირდება. ერთი მხრივ, ეკონომიკური და სოციალური საკითხები რეალობასთან მისადაგებული უნდა იყოს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ეკონომიკური და სოციალური პროგრამებით პაექრობა არაპოპულარულია, ჩვენი კანდიდატები კომფორტულ გარემოს იქმნიან და საზოგადოების განწყობაზე მოქმედებას ცდილობენ, რათა უფრო მეტი პოპულიზმი შეიტანონ წინასაარჩევნო კამპანიაში.

## რატომ არ აქვთ პრეზიდენტობის კანდიდატებს ეკონომიკური პროგრამები და ვინაა პასუხისმგებელი არშესრულებულ დაპირებებზე?




**— ამომრჩეველი წინასაარჩევნო პროგრამას ყურადღებას რომ არ აქცევს, ისევ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების დამსახურება ხომ არაა? — კანდიდატების დაპირება უმეტესად არ სრულდება და დიდად არც მათი პროგრამები განსხვავდება ერთმანეთისგან?**

— შესაძლოა, მართალიც ბრძანდებით... პოლიტიკოსების წინასაარჩევნო დაპირებები არ სრულდება და ეს საზოგადოებამ კარგად იცის. გარდა ამისა, ყველა არჩევნებში ისეთი ვითარებაა, თითქოს ეს „ფილმი“ უკვე ნანახი გვაქვს. პროგრამებს უნდა მივაქციოთ ყურადღება და მისი რეალურობის შეფასება უნდა გახდეს აქტუალური ამომრჩევლისთვის. ყოველ არჩევნებზე ვისმენთ, რომ დაპირებები არ სრულდება, მაგრამ მაინც დაპირებებზე ვაკეთებთ აქცენტს მომავალ არჩევნებში და არ ვითვალისწინებთ, რამდენად რეალურია ისინი. 2003 წელს ქართული საზოგადოება ნაციონალური მოძრაობის დაპირებებს ადვილად ენდო, მერე მიხვდა, რომ ეს დაპირებები არარეალური იყო და იმის ნაცვლად, არჩევნებისადმი კონტექსტი და დამოკიდებულება შეცვლილიყო, იგივე ამომრჩეველი 2012 წელს, ისევ მარტივად წამოეგო უკვე „ქართული ოცნების“ დაპირებებზე. მიზეზი ისაა, რომ დაპირებების რეალობა არავის შეუფასებია ანუ საზოგადოებას ზედაპირული დამოკიდებულება აქვს პოლიტიკოსებისადმი. გადაწყვეტილების ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ მიღება მხოლოდ ემოციურ ფაქტორს ეფუძნება. ახლაც, ზოგი კანდიდატი წმინდა სოციალური და ეკონომიკური ხასიათის დაპირებას აძლევს საზოგადოებას, რომლის გარკვეული ნაწილი უკვე წამოგებულია ამ მესიჯს და ამბობს, რომ ეს ძალიან კარგია. გვავიწყდება, რომ რეგულაციების თვალსაზრისით, პრეზიდენტის კომპეტენცია აღარ არის გარკვეული მომსახურების გაიაფება, სამუშაო ადგილების შექმნა... შესაბამისად, არჩევნების შემდეგ საზოგადოება ისევ იმედგაცრუებისთვისაა განწირული.

**— იმის მიზეზი რაღაა, რომ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა წინასაარჩევნოდ თემების (გადასახადების შემცირება, კომუნალური ტარიფების გაიაფება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის აღორძინება...) აქტუალობის კუთხითაც?**

— ეკონომიკური ნაწილი და სოციალური ფონის გაუმჯობესება უფრო მეტად მმართველი ძალის გადასაწყვეტია და არა პრეზიდენტობის კანდიდატის. მიუხედავად ამისა, წინასაარჩევნო კამპანიების დროს, პოლიტიკოსები უხვად გზავნიან სხვადასხვა მესიჯებს და დაპირებებიც საკმაოდ მსუყეა. შემდგომი ოთხწლიანი მუშაობის პროცესში კი გარკვეული კორექტირება ხდება. რაც შეეხება კომუნალურ გადასახადებს, ჩემთვის ალოგიკური და წარმოუდგენელი იყო ის კომენტარი, რაც ენერგეტიკის მინისტრისგან მოვისმინე — გავაიაფეთ დენის გადასახადი, მეტი რა უნდა გავაკეთოთო. პარლამენტის ექსსპიკერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, ვინ თქვა, რომ 2013 წელს პენსიები უნდა გაზრდილიყო, რა პირობაც მივეცით მოსახლეობას, უკვე შევასრულეთო...

**გარკვეული ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის განცდის არარსებობაა საზოგადოებაში და შესაბამისად, ხელისუფლებაც ადეკვატურად იქცევა. მოკლედ, ზუსტად ისეთი ხელისუფლება გვყავს, როგორიც საზოგადოებაა. საზოგადოება ვერ გამოვიდა გარკვეული ეიფორიიდან და ყოველი არჩევნების შემდეგ დგება დრო, როცა ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი შეკვეთა ხელისუფლების მიმართ არაადეკვატური და საჭიროებებს აცდენილია ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ მთავარი ლოზუნგი — სამართლიანობის აღდგენა და მოლოდინი, რომ სამართლიანობის აღდგენა გარკვეული ფორმით დაიწყებოდა. საინტერესოა, რამდენად სწორად ესმის საზოგადოებას ეს ტერმინი, რადგან ხალხის უდიდესი ნაწილი სამართლიანობის აღდგენაში ნაციონალების მიერ ბიზნესმენებისთვის წართმეული ქონებისა და აქტივების დაბრუნებას გულისხმობს, მეორე ნაწილი კი სამართლიანობის აღდგენაში მხოლოდ ადამიანების ციხეში ჩასმას მოიაზრებს. შესაბამისად, ამა თუ იმ საკითხის არასწორი აქცენტირება, ბუნებრივად, იწვევს გარკვეულ კორექტირებას ხელისუფლების მოქმედებაში. საზოგადოებამ უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას ის, რაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაპირების, მესიჯის ან პროგრამული ინიციატივის სახით გაჟღერდა.**

ამ თვალსაზრისით, გულგრილი დამოკიდებულება გვაქვს — არჩევნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ ხელისუფლებამ დაპირებები ვერ შეასრულა და იმას ვერ ვიაზრებთ, რომ ამაში საზოგადოებამაც შეიტანა წვლილი. შესაბამისად, მხოლოდ ხელისუფლებას არ უნდა მოვთხოვოთ პასუხი. ეს იმ საზოგადოების პასუხისმგებლობაცაა, რომელმაც ისე არ დასვა საკითხი, ხელისუფლებას დანაპირები შეესრულებინა. სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი „ქართული ოცნების“ დაპირებების „გაპრავებაზეა“ გადასული. მაგალითად, როცა ხელისუფლებამ უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვა აკრძალა, ყველამ ტაში დაუკრა. როცა პრემიერმა განაცხადა, ასეთი აკრძალვა არ შეიძლებაო, იგივე ნაწილი დაეთანხმა და კვერი დაუკრა. რეალური პრობლემა საზოგადოებაშია, რომლის უმწიფრობა ხელისუფლების არაადეკვატურ ქმედებას განსაზღვრავს.

**დღეს ქვეყანა ორი გამოწვევის წინაშე დგას — ეკონომიკა და განათლება. არ არსებობს ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკა, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი უნდა გახდეს. განათლება კი, პროგრესის საფუძველი და ბაზისია. ამ ორ საკითხზე დღეს არავინ საუბრობს. მიზეზი მარტივია — ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკა და პოლიტიკური საქმიანობა ბაზარს და „იყიდე, გაყიდე“-ს დაემსგავსა. დღეს ჩვენი პოლიტიკოსები იმას ყიდიან, რაც გაყიდვადია, ხოლო იმ ელიტური საქონლის შეძენა, რომელიც ამ შემთხვევაში, რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკისა და განათლების პრიორიტეტულობის სახით უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას, არავის შეუძლია.**

---

## ვერსიანიუსი



### ირაკლი ღარიბაშვილი დიდი ბრიტანეთის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ახლადდანიშნულ ელჩს, ალექსანდრა ჰოლ ჰოლის შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. მინისტრმა ელჩს შსს-ში გატარებული და დაგეგმილი რეფორმები გააცნო. საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს, სამომავლო გეგმებსა და წინასაარჩევნო გარემოს.

### შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი როველ კ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, შაშხანა და შაშხანის 15 საბრძოლო ვაზნა, „კალაშნიკოვის“ სისტემის იარაღის 6 საბრძოლო ვაზნა, „გეკოს“ ტიპის იარაღის 7 საბრძოლო ვაზნა და ასევე, სხვადასხვა ტიპის იარაღის დაშლილი ნაწილები ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

### შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო



შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1961 წელს დაბადებული ასმათ გ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თურქეთიდან 3 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“ და 4 აბი „სუბოქსინი“ შემოიტანა. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია 96 გრამი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 21 გრამ „ჰეროინს“ შეიცავს და ასევე, 0,032 გრ ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინი“. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*



# „ნაციონალური მოძრაობის ლუსტრაცია ვერ მოხერხდა, „ქართული ოცნება“ გამოაშკარავებულია“

## რას პროგნოზირებს და რაში ამხელს ხელისუფლებას კობა დავითაშვილი

რუსუდან შელია
557-100-768

**27 ოქტომბრის შემდეგ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის კოჰაბიტაციის პროცესის დასრულებას არ ელის, პირიქით, აცხადებს, რომ ხელისუფლება საპარლამენტო უმცირესობის პოლიტიკურ გადარჩენაზე ზრუნავს და ნაციონალებთან ერთად, ორპარტიულ მმართველობაზე თანახმაა. „მოხეტიალე ფორვარდი“, საპრეზიდენტო კანდიდატი კობა დავითაშვილი „ვერსიასთან“ წინასაარჩევნო პროცესს აფასებს და ნაციონალური მოძრაობის გასამართლებას ითხოვს:**

— ზოგადად, სოციოლოგიურ კვლევებს არ ვენდობი და თუ ვინმე აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მცირე შანსი მაქვს, ტრაბახს არ დავიწყებ, ყველას თავმდაბლად ვუპასუხებ: თითოეული კანდიდატის შესაძლებლობებს არჩევნების დღეს გავიგებთ. სხვათა შორის, მეორე ტურის დანიშვნის ალბათობა საკმაოდ მაღალია, რადგან სახელისუფლო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი საკმაოდ სუსტი და საზოგადოებისთვის უცნობი პოლიტიკოსია. ბევრი რამ იმაზეცაა დამოკიდებული, რამდენად აქტიური იქნება ამომრჩეველი არჩევნების დღეს. თუ 27 ოქტომბერს ამომრჩევლის დაბალი აქტივობა დაფიქსირდა, შესაძლოა, მეორე ტური საჭირო აღარ გახდეს. ვიმედოვნებ, მეორე ტურში გიორგი მარგველაშვილს დავუპირისპირდები, თუმცა არც ნინო ბურჯანაძის გასვლას გამოვრიცხავ.

**— სამივე ერთად, მეორე ტურში როგორ იქნებით, თუ პირველ ტურშივე მარცხს შეგუებული ხართ და გზას ნინო ბურჯანაძეს უთმობთ?**

— გზას არავის ვუთმობ. მხოლოდ ჩემს სურვილზე ვსაუბრობ, გამორიცხვით კი არაფერს გამოვრიცხავ.

**— თქვენი საპრეზიდენტო სურვილიც განმარტეთ — ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების შესახებ მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს რატომ იმეორებთ, რის გამოც წლების განმავლობაში თავად აკრიტიკებდით?**

— დიახ, მიხეილ სააკაშვილსა და მის თანაგუნდელებს მათივე სიტყვები შეგნებულად შემოვუტრიალე. მიხეილ სააკაშვილი ნულოვან ტოლერანტობას ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის დაკავებული არასრულწლოვნების მიმართ აცხადებდა. ახლა აუცილებელია, თავად იგრძნოს, რას ნიშნავს ნულოვანი ტოლერანტობა. ძველი აღთქმისამებრ — თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ. ვიმეორებ, სააკაშვილმა მისივე პოლიტიკის „სიამოვნება“ საკუთარ ტყავზე უნდა იგემოს. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ ნაციონალებზე ვსაუბრობ, რომლებმაც არაადამიანური სისტემის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს.

**— თქვენი შურისძიება სამოქალაქო დაპირისპირებას არ გამოიწვევს, მით უმეტეს, როცა ამისკენ ამომრჩეველსაც მოუწოდებთ?**

— ნაციონალურ მოძრაობას სამოქალაქო ომის დაწყების შანსი რომ ჰქონოდა, ამას არჩევნების შემდეგ თავადვე გააკეთებდა, რადგან მათთვის ძალაუფლება ადვილი დასათმობი არ იყო. ამ ეტაპზე, ნაციონალურ მოძრაობას სამოქალაქო ომის პროვოცირების თავი არ აქვს, მარგველაშვილი კი ცრუობს და საზოგადოებას კიდევ ერთხელ ატყუებს, როცა აცხადებს — 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდებაო. ამჟამად, პარლამენტში უმრავლესობასა და უმცირესობას შორის გახურებული კოჰაბიტაციური ურთიერთობებია, რასაც 27 ოქტომბერი ნამდვილად ვერ შეაჩერებს. სწორედ ამ მიზეზით აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის“ ლუსტრაციის შესახებ ჩემს მიერ მომზადებული კანონპროექტი მიუღებელი, რომლის მიხედვითაც გაუპატიურებასა და ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით მოქალაქეების დაშანტაჟებაში მხილებულ პარტიის წევრებს მაღალი თანამდებობის დაკავება აეკრძალებოდათ.

**— ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი თქვენც ხართ და ლუსტრაციის კანონი, ლოგიკურად, უნდა შეგეხოთ, თქვენ კი პრეზიდენტობისთვის იბრძვით.**

— ეს კანონპროექტი ეხება მხოლოდ დანიშნულ და არა ხალხის მიერ არჩეულ თანამდებობებს. სხვათა შორის, ლუსტრაციის კანონი აღმოსავლეთ ევროპაში ტოტალიტარული რეჟიმების შემდეგ მიიღეს, ნაციონალური მოძრაობა კი ავტორიტარული რეჟიმისთვის აუცილებელ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს.

**— სწორედ ამიტომ გეკითხებით, როცა ნაციონალური მოძრაობის ლუსტრაციაზე საუბრობთ, თუმცა პარტიის ერთ-ერთ ყოფილ ლიდერს პრეზიდენტობის ამბიცია გაქვთ, თქვენს წილ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობთ?**

— დიდი ხანია, ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ნაციონალური მოძრაობის სხვა მოღვაწეებისგან განსხვავებით, პასუხისმგებლობას არასოდეს გავურბივარ. პარტია, რომელმაც არაადამიანური მეთოდები სახელმწიფოს მართვის ძირითად სისტემად აქცია, რიგით პოლიტიკურ ძალად უნდა განვიხილოთ? გიორგი მარგველაშვილმა ამ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა. შესაბამისად, მისი ლამაზი ზღაპრები კოჰაბიტაციის დასრულების შესახებ, მხოლოდ ტყუილია. აღნიშნული კანონპროექტი მიზნად ორი პარტიის ლუსტრაციას ისახავდა — ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“. ნაციონალური მოძრაობის ლუსტრაცია ვერ მოხერხდა, თუმცა „ოცნება“ გამოაშკარავებულია.

**— და რა გაარკვიეთ?**

— სანამ ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ იქნება, ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაცია მუდმივად გაგრძელდება. ხელისუფლების პირველი პირები არც მალავენ, რომ მათი მიზანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური გადარჩენა და მასთან პოლიტიკური პარტნიორობაა. მეტიც, მმართველი გუნდი მზადაა, ნაციონალებთან ერთად ქვეყანაში ორპარტიული რეჟიმი შექმნას. „ქართულ ოცნებაში“ დღემდე ნაციონალური მოძრაობის კადრები საქმიანობენ, მეტიც, რთულია გაარჩიო ზღვარი „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის. კოჰაბიტაცია უმაღლეს მწვერვალზეა ასული და მის დამთავრებაზე საუბარი არარეალურია.

**— კოჰაბიტაცია საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო, რათა ახალ ხელისუფლებას, ნაციონალური მოძრაობის მსგავსად, ოპონენტების წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა არ განეხორციელებინა. ასე არ ფიქრობთ?**

— არა მგონია, დასავლეთიდან მოთხოვნა იყოს, სამი ადამიანი, რომელიც თავს დამესხა, დღემდე ფინანსურ პოლიციაში მუშაობენ. ფაქტია, რომ „ოცნებას“ მსგავსი ადამიანები სჭირდება, რადგან კარგად იცის, რომ ისინი ყველაფერზე წამსვლელები არიან. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლება რაღაც ცუდისთვის ემზადება.

**— მმართველი გუნდი რისთვის ემზადება?**

— ჯალათები, რომლებიც დღემდე სამსახურს ინარჩუნებენ, ახლაც მზად არიან, დანარჩენი მოქალაქეების უფლებები ფეხქვეშ გათელონ. შესაბამისად, მინისტრები მათ საჭიროებისამებრ გამოიყენებენ. შესაძლოა, დღეს მსგავსი მეთოდებით ქვეყნის მართვა აუცილებელი არ არის, თუმცა დარწმუნებული ვარ, თუ დაჭირდებათ, ნაციონალების მიერ დატოვებულ ჯალათებს საქმეს „ოცნებაც“ გააკეთებინებს.

**— ანუ „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის გზას გაივლის?**

— როცა ნაციონალური მოძრაობის ჯალათებს პროფესიონალებად და საქმის მცოდნეებად აფასებენ, გამორიცხული არაფერია. სწორედ მსგავსი მიდგომა გახდა ჩემსა და „ქართულ ოცნებას“ შორის უთანხმოების მიზეზი. სამწუხაროდ, დღემდე არაფერი შეცვლილა. უბრალო და ღარიბი მოქალაქეების ინტერესების ნაცვლად, მთავრობა მსხვილი ბიზნესის პატრონებსა და ფულიანი ადამიანების უფლებებზე ზრუნავს. სადაზღვევო კომპანიებს დღესაც დავით საგანელიძე ლობირებს, არც კაზინოებისა და სათამაშო აპარატები აუკრძალავს ვინმეს და იპოთეკარების პრობლემაც გადაუჭრელია. „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენაზე ერთი დღეც არ უფიქრია, ქვეყანაში მართლმსაჯულებამ პარალიჩი მიიღო, რისი შედეგიც ბაჩო ახალაიას გამართლება იყო.

**— მიუხედავად ამისა, კოალიციის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე, მზად იყავით მინისტრის თანამდებობას დათანხმებოდით.**

— ჩემი კოლეგებისგან განსხვავებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რეალური შანსი მქონდა მინისტრი გავმხდარიყავი, თუმცა მაშინ მაღალ თანამდებობაზე უარი განვაცხადე. „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკოსთა უმრავლესობას ამის შანსი არ ჰქონია. როცა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, კობა დავითაშვილი პასუხისმგებლობას გაურბის და ოპოზიციიდან კრიტიკა ურჩევნიაო, დიახ, განვაცხადე — მზად ვარ, ნებისმიერ სამინისტროს ვუხელმძღვანელო და ნახევარი წლის შემდეგ ჩემი და ყველაზე კარგი მინისტრის მოღვაწეობა შეაფასეთ-მეთქი, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ჩემთვის არაფერი შემოუთავაზებია. ასე რომ, პასუხისმგებლობას არასოდეს გავურბივარ, მინისტრობა კი ჩემი მიზანი სულაც არ არის. ზოგიერთი კოლეგისგან განსხვავებით, კომფორმისტი არასოდეს ვყოფილვარ.

**— უკვე მეორეჯერ მიანიშნეთ კოლეგებზე, დაასახელეთ, ვინ არის დღეს პარლამენტში კომფორტის მოყვარული?**

— დღეს პარლამენტში უმეტესობა წესიერი ადამიანია, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილის ხათრი აქვთ და უარს არაფერზე ამბობენ. თუ პრეზიდენტი გავხდები, ვადამდელ არჩევნებს აუცილებლად დავნიშნავ, სხვა შემთხვევაში, ოთხი წელი ამ პარლამენტის ყურება მოგვიწევს.



### საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ერთი კანდიდატის მონაწილეობის შემთხვევაშიც შეიძლება ჩატარდეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური არ გაიმართება, თუმცა რომც გაიმართოს, მარგველაშვილს ურჩევს, არ მიიღოს მონაწილეობა. რა მოხდება მაშინ, თუკი მეორე ტური დაინიშნება და მასში მონაწილე ორი კანდიდატიდან ერთი ბრძოლის გაგრძელებაზე უარს იტყვის? ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ერთი კანდიდატის მონაწილეობის შემთხვევაშიც შეიძლება ჩატარდეს: **„კანონმდებლობის გათვალისწინებით, საპრეზიდენტო არჩევნები ორტურიანი სისტემით შეიძლება ჩატარდეს. მეორე ტური მაშინ იმართება, როცა პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას, ანუ 50%+1 ხმას ვერ აგროვებს. ამ დროს, მეორე ტურში, საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი გადადის. არ მახსოვს პრაქტიკა, პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, მეორე ტურში საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა, მაგრამ ასე რომ მოხდეს, მეორე ტური მაინც ჩატარდება. კანონმდებლობით, ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები იმ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს, თუკი ორივე კანდიდატი იტყვის უარს არჩევნებში მონაწილეობაზე. სხვა შემთხვევაში, მეორე ტურში ერთი კანდიდატიც რომ დარჩეს, კანონმდებლობა მეორე ტურის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



### ნატო ალიანსის წევრებს საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი ერთგულების დადასტურებისკენ მოუწოდებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, კიდევ ერთხელ დაადასტურონ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი ერთგულება და 2014 წლის სამიტზე გაფართოების მიმართულებით ნაბიჯები გადადგან. 2013 წლის 11-14 ოქტომბერს დუბროვნიკში გამართულ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ სესიაზე მიიღეს რეზოლუცია Furthering stability and the Euro-Atlantic Prospects of the Western Balkans, სადაც დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად, საქართველოცაა მოხსენიებული: **„მოვუწოდებთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს, დაადასტურონ ერთგულება დასავლეთ ბალკანეთისა და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივის მიმართ და ნატო-ს 2014 წლის სამიტზე განიხილონ ნატო-ს გაფართოების პროცესში შემდგომი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიერთების პროცესი ორიენტირებულია სტანდარტების შესრულებაზე და არა კალენდარულ თარიღებზე. თითოეული კანდიდატი შეფასდება დამსახურების მიხედვით, ნატო-ს მიერ დადგენილი კრიტერიუმების, პირობების საფუძველზე“.**

რეზოლუციის თანახმად, ასპირანტი ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის იდეის განსახორციელებლად და ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას.

*„ექსპრესნიუსი“*

# ვის წინააღმდეგ ვერ ამოიღო ხმა სამმა პრემიერმა

ლევან ღვინიაშვილი

**იმის მიუხედავად, რომ ყოფილი ხელისუფლების წევრები ომახიანად აცხადებდნენ, ჩვენს დროს ბიზნესი ყვაოდა და ბიზნესმენებს მეტი თავისუფლება ჰქონდათო, რეალობა სხვაა. ასობით დაზარალებული ბიზნესმენი დღემდე ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და წართმეული ქონების დაბრუნებას. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ რეკეტს ჰგავს, იმ რეკეტს, რომლის დამარცხებასაც დღემდე სიამაყით აღნიშნავენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, თუმცა რეკეტიორების ფორმა თავად მოირგეს და შეიძლება ითქვას, კრიმინალი გააოფიციალურეს, სახელმწიფო დონეზე აიყვანეს და ხელოვნების დარგივით დახვეწეს.**



ვინ და რატომ შეუშალა ხელი საქართველოში ორმილიარდიან ინვესტიციას

საქმე სააქციო საზოგადოება „სავანე-ღვინის 1 ქარხნის“ (ს/კ 203825076) ქონების მითვისებას ეხება. იგი, თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე გახლდათ და მისი შპს „კატრის“ საკუთრებაში გადაცემა განხორციელდა უკანონოდ, უფრო ზუსტად კი, ყაჩაღობის გზით. ეს საქმე თვალსაჩინო ნიმუშია ელიტური ბანდიტიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციისა. არ გეგონოთ, საქმე ქართველ ბიზნესმენს ეხებოდეს — ხელისუფლების დახმარებით, რამდენიმე ადამიანმა ხელში უცხოელი ინვესტორების ქონება ჩაიგდო. იმ ინვესტორებისა, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, საქართველოში ორი მილიარდის ინვესტიცია განეხორციელებინათ, მაგრამ ჯერ ზურაბ ნოღაიდელის, შემდეგ ლადო გურგენიძის, ბოლოს კი, ნიკა გილაურის პრემიერობისას, სამართალი ვერ იპოვეს მიუხედავად იმისა, რომ სამივე პრემიერი პირადად ჩააყენეს საქმის კურსში. დაზარალებული ოფიციალურად ითხოვს კუთვნილის დაბრუნებას და იმ სქემაზე საუბრობს, რითიც ქონება, უბრალოდ, „აახიეს“. მისტერ კურტისმა პროკურატურაში საჩივარი უკვე შეიტანა და წერილით ბრიტანეთის საელჩოსაც მიმართა. საჩივარს თან ერთვის მოწმეთა ჩვენებები.

სს „სავანეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ზურა მარგველაშვილის ჩვენებით დგინდება, რომ მან ხელი მარტო იმიტომ მოაწერა ქონების გადაცემას, რომ ღამე სახლში „დაადგნენ“ გამომძალველები, რომლებიც მოქმედებდნენ საგამოძიებო ნაწილის უფროსთან გიორგი ლაცაბიძესთან სატელეფონო კოორდინაციით, ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, ხოლო დაპატიმრების შემთხვევაში, მარტო დარჩენილი ცოლის გაუპატიურებით(?!), ბავშვების სიცოცხლის ხელყოფით, ახლობლებისა და ნაცნობების წამებით. მეორე მოწმის, ზვიად ქუდაძის წერილიდან ირკვევა, რომ მან მარტო იმიტომ მოაწერა შპს „იმპერიალ ჯორჯიან ვაინის“ სახელით ყადაღის მოხსნაზე, ვითომდა 1.5 მილიონი იპოთეკის სრულ დაფარვასა და ფულის მიღებაზე, რომ ციხიდან უკანონო პატიმრობაში მყოფი ძმა დაეხსნა. ის ღამით სახლიდან გაიტაცეს მიხეილ უგულავამ და შეიარაღებული ბანდის წევრებმა, მიიყვანეს ღამის 12 საათზე საჯარო რეესტრში, სადაც წაართვეს კომპანიის ბეჭედი. მოწმე ალექსანდრე ფურმანის, უცხოელი ინვესტორების წარმომადგენლის წერილიდან ირკვევა, რომ მას დაუკავშირდა ბავშვთა ტრეფიკინგისთვის ადრე ძებნილი გრიგოლ კარანაძე და ვითომ შემთხვევით შეახვედრა მიხეილ (მიკა) უგულავას. მან შესთავაზა სამსახური საინტერესო პროექტში იმ შემთხვევაში, თუ თავს დაანებებდა ინვესტორთა ინტერესების გატარებას, თან ნათლად მიანიშნა, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყანა არ არის სამართლის მაძიებლებისთვისო.

მოწმე გიორგი მგალობლიშვილის წერილიდან ირკვევა, რომ მიკა უგულავა და ვლადიმერ კვარაცხელია „ატერორებდნენ“ მას, რათა აეძულებინა უცხოელები, დაეთმოთ მათთვის ქონება და ხელი შეეწყო მითვისებაში. ამ მიზნით მათ მძევლად ჰყავდათ მისი 5 (ხუთი!!!) წლის შვილი მიხეილ მგალობლიშვილი, ხოლო მეუღლე თეა მეფისაშვილი გაიტაცეს საგურამოს ტყეში, საიდანაც არეკინებდნენ მეუღლესთან და გაუპატიურების მუქარის ქვეშ აიძულებდნენ, ატირებულს გიორგისთვის ეთქვა, რომ ხელი შეეწყო და დაეთმო ყველაფერი. ზარები დაფიქსირებულია ქ. ლონდონის პადიგნოტ გრიინის პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის მიერ. ოჯახი მძევლობიდან გაათავისუფლეს მხოლოდ ქონების მთლიანად მათ უკანონო მფლობელობაში მოქცევის შემდეგ და მისცეს საშუალება, დაეტოვებინათ საქართველო. ეს მოხდა 2007 წლის მარტს. გიორგი მგალობლიშვილი არ შეურიგდა და აგრძელებდა სიმართლისთვის ბრძოლას, რის გამოც განხორციელდა მასზე თავდასხმა გატაცებისა და მოკვლის მიზნით. გატაცების მცდელობას ადგილი ჰქონდა ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკშიც, სასტუმრო „ჰაიატში“. მიკა უგულავა პირადად იმყოფებოდა ბიშკეკში, ცხოვრობდა სასტუმრო „ჯანატში“ და ხელმძღვანელობდა ოპერაციას. გიორგი კი სიკვდილს გადაურჩა სასტუმროს დაცვისა და კოლეგების მეშვეობით. დაკავებულმა გამტაცებლებმა მისცეს ჩვენება, რომ მათ დაუკვეთეს მგალობლიშვილის სასტუმროდან მოტყუებით გაყვანა და გატაცება, ვითომ ბანკის ანგარიშზე არსებული თანხების კანონიერების დადგენის მოტივით, შემდეგ კი ყაზახეთში გადაყვანა და იქ ლიკვიდაცია. მგალობლიშვილის ინფორმაციიდან ასევე ირკვევა, რომ მან გამოძიების დასაწყისში ტელეფონით დაურეკა საგამოძიებო ნაწილის უფროსს გიორგი ლაცაბიძეს, რომელთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა და სწორედ მან უთხრა — „ჩააბარე ქონება და სადაც გინდა წადი, ასეა გადაწყვეტილი და მე ვერაფერს შევცვლიო“. სატელეფონო საუბარში გამომძიებელმა შანშიაშვილმა დაადასტურა, რომ დაკვეთა მმართველი გუნდიდან მოდიოდა და ის მხოლოდ ზემდგომთა ბრძანებებს ასრულებდა. მან იქვე დასძინა, რომ მიკა უგულავა ღვინის ქარხნის ადგილას ასაშენებელ კორპუსში მას 3-ოთახიან ბინას დაჰპირდა და რომ უგულავა და კვარაცხელია პროკურატურის კორიდორებში ასაშენებელი კორპუსების სქემატური ნახაზებით დანავარდობდნენ და უხვ დაპირებებს იძლეოდნენ.

ვინ არიან მიხეილ უგულავა, ვლადიმერ კვარაცხელია და მათი ბანდის (სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ) სხვა წევრები?! ესენი არიან იმ „ჟოკეი კლუბის“ დამფუძნებლები, რომელმაც უკანონოდ მიითვისა თბილისის იპოდრომის ტერიტორია. ამ საქმეში მათ დაეხმარა ქალაქის მერი გიგი უგულავა, რომელმაც 1998 წელს, თბილისის პრემიერის, გია შერაძის გადაწყვეტილება არარად ცნო და იპოდრომს საუწყებო ტყე-პარკის სტატუსი მოუხსნა. სწორედ ამის შემდეგ გაიცა იპოდრომის ტერიტორიაზე კორპუსების მშენებლობის ნებართვა... ვლადიმერ კვარაცხელია არის „იოლი ჯგუფის“ მეპატრონე და დამფუძნებელი, რომელიც 2008 წელს დიდუბის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს ნაციონალური მოძრაობის სიით. 200 მილიონად ღირებული ქონება მაშინ „ჯოკეი კლუბმა“ — სულ რაღაც 10 მილიონად ჩაიგდეს ხელში და 600 დოლარად შეფასებული კვადრატული მიწის ნაკვეთი 100 დოლარად იყიდეს.

ისევ „სავანეს“ საქმეს დავუბრუნდეთ. არსებული მასალებიდან აშკარად იკვეთება პროკურატურის დაუჯერებელი ქმედებები: ლია ყიფიანი, 6 ნოემბერს, აყენებს შუამდგომლობას საქალაქო სასამართლოს წინაშე, რომ მოიხსნას ყადაღა სააქციო საზოგადოების ქონებაზე იმ მოტივით, რომ არ არსებობს მისი გასხვისების საშიშროება. სასამართლო მოთხოვნას უკმაყოფილებს. პროკურორი კახა წერეთელი 27 ნოემბერს აგზავნის მოთხოვნას საჯარო რეესტრის მონაცემებზე, რომელსაც ერთ დღეში იღებს და იმავე დღეს გადასცემს ნოტარიუს მაია ბრეგაძეს. იმავე დღეს ხელშეკრულება უქმდება „კაპიტალ მენეჯმენტთან“ და მგალობლიშვილის ქონება ნაკვეთიანად ვლადიმერ ცომაიაზე ფორმდება, რის შემდეგადაც იმავე დღეს, დაპატიმრებულები (ლ. ჩიკვაიძე, ს. ერაძე, ზ. ქურდაძე) ითხოვენ გამოშვებას, რასაც მეორე დღესვე უკმაყოფილებენ. რეგისტრაციის განხორციელებისას საჯარო რეესტრში შპს „ტრასეკა გრუპ ჰოლდინგის“ წარმომადგენლად მითითებულია მიხეილ უგულავა, თუმცა ამონაწერები საჯარო რეესტრიდან აღებული აქვს იმავე ვლადიმერ ცომაიას (ანუ გამყიდველს), რომელიც მოქმედებდა მინდობილობის საფუძველზე. (საგულისხმოა ამონაწერის აღების დრო 18:10, ეს მაშინ როცა 18:00 საათისათვის რეესტრი ასრულებს მუშაობას და ამონაწერები აღარ გაიცემა. იხურება კომპიუტერული მონაცემთა ბაზა). ფანტასტიური ოპერაციაა: 6 დეკემბერს აღდგა სხვა აქციონერების, დავით მენთეშაშვილის, მიხეილ ნიკოლაიშვილის და ნუგზარ ბერიშვილის საკუთრება, 6 დეკემბერს სამივემ მიწა გაასხვისა ვლადიმერ ცომაიაზე, რაც 7-ში დარეგისტრირდა და 7 დეკემბერსვე ცომაია სამივე მიწას ასხვისებს ტრასეკაზე. ამასთან, ცომაია გამყიდველიც არის და მყიდველი ფირმის დირექტორის, მიხეილ უგულავას მინდობილი პირიც.

ყველაზე საინტერესო კი მერე დაიწყო. დაზარალებულმა ინვესტორმა პრამოდ მიტალმა იმ დროს ლონდონში მყოფი საქართველოს პრემიერ მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და საქართველოს მოქმედი ელჩი თავის ოფისში ლანჩზე მიიწვია. მას პრემიერთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, ვინაიდან რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას საქართველოში 2-მილიარდიან ინვესტიციაზე, რუსთავის მეტალურგიული, ზესტაფონის ფეროს, ჭიათურის მანგანუმის, სუფსის ნავთობის ბლოკში, ჰუდონისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურებში. შეხვედრისას პრემიერმა დაადასტურა მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტებში, ხოლო ღვინის ქარხანაში მიმდინარე პროცესები ძალიან გაიკვირვა, გაბრაზდა და დაჰპირდა, ყველაფერს გავარკვევ და დაგიკავშირდებიო. მართლაც, ორი კვირის შემდეგ, პრემიერმა აცნობა, რომ ის ვერაფრით დაეხმარებოდა და ვერც კი ჩაერეოდა ამ საქმეში(?!), ვინაიდან იქ ზედმეტად გავლენიანი ძალები იყვნენ ჩართული. სამაგიეროდ, დაჰპირდა, რომ მოუწყობდა შეხვედრას პრეზიდენტთან ან გენერალურ პროკურორთან. მართლაც, პრამოდ მიტალმა თბილისში, დათქმულ დროს მოავლინა, თავისი დირექტორი ჯავაიდ პაშა, რომელიც ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელს გიორგი არველაძეს. არველაძემ განუცხადა, რომ პრეზიდენტი იმყოფებოდა ბათუმში, უამინდობის გამო, მისი ვერტმფრენი ვერ ახერხებს თბილისში დაბრუნებას და შეხვედრაზე პროკურატურაში გადაამისამართა. საღამოს, 10 საათზე, ჯავაიდ პაშა პროკურორ კახა წერეთელს შეხვდა. შეხვედრა იყო მოკლე და საქმიანი — წერეთელი მისგან ითხოვდა ან მილიონობით თანხის გადახდას, რათა ქარხანა არ წაერთმიათ, ანდა დაუყონებლივ მინდობილობის გაცემას მათ სასურველ პირზე ქარხნის გადასაფორმებლად. ჯავაიდ პაშას თქმით, მან ხაზი გაუსვა, რომ ძალიან გავლენიან ადგილობრივ ჯგუფს უნდოდა ამ ქარხნის ხელში ჩაგდება და საკითხი გადაწყვეტილი იყო. პაშამ მილიონების გადახდაზე უარი უთხრა, სანაცვლოდ, ქარხანაში 25% და საქართველოში 2-მილიარდიანი ინვესტიცია შესთავაზა. პროკურორმა უპასუხა, რომ შეთავაზებას გადასცემდა და პასუხს გააგებინებდა. პასუხი კი, სავარაუდოდ, უარყოფითი იყო, ვინაიდან წერეთელი მას არ დაკავშირებია. ამის შემდეგ დაიწყო დაპატიმრებებისა და გამოძალვის ღია სერია.

პრამოდ მიტალი საქართველოში მოგვიანებით ჩამოვიდა. მისი განმარტებით, იგი შეხვდა იმჟამად მოქმედ პრემიერს ნიკა გილაურს, რომელიც საკითხის გარკვევას დაპირდა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. შედეგი ვერც საუკეთესო ადვოკატების დაქირავებამ გამოიღო. პრამოდ მიტალი იგონებს, რომ საქართველოში ნიკა გილაურთან სტუმრობისას იგი სასტუმრო „მარიოტში“ ცხოვრობდა და სწორედ აქ, ფოიეში დაეკონტაქტნენ მიხეილ უგულავა და ვლადიმერ კვარაცხელია. მათ განუცხადეს, რომ ყველა საბუთი ხელთ აქვთ, ქარხანა მთლიანად მათ მართლზომიერ მფლობელობაშია და არსებული მმართველი გუნდის პირობებში, მას არანაირი შანსი კანონიერების აღდგენის არ აქვს. მიტალის თქმით, მათ შესთავაზეს მისგან მითვისებული ქონების 21 მილიონ აშშ დოლარის სანაცვლოდ დაბრუნება(?!) და ხაზი გაუსვეს, რომ თუ თანხმობას განაცხადებდა, დაუყონებლივ შეახვედრებდნენ ძალიან გავლენიან პირებს, უარის შემთხვევაში კი დაკარგავდა არა მარტო ღვინის ქარხანას, არამედ ნავთობის ბლოკსაც და საქართველოში არც გაჩერების და არც საქმიანობის განხორციელების უფლებას არ მისცემდნენ. ამ საუბარს შეესწრო მიტალის იურიდიული მრჩეველი სანდრა კუსისკაიტესი, რომელმაც ურჩია მიტალს, არ ჩარეულიყო კორუფციულ გარიგებებში. მიტალმაც უარი განუცხადა შემდგომი მოლაპარაკებების გაგრძელებაზე. შედეგად კი არა მარტო ყველა სასამართლო პროცესი წააგო, გაუუქმეს კიდეც ნავთობის კონცესიაც.

ბატონ რობერტ ტომსონის განმარტებით, შეიტყო თუ არა, რომ მიმდინარეობდა ქარხნის დარბევა და აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე ფულის გათეთრების მოგონილი საბაბით, გამოძიების საწყის ეტაპზევე ავსტრალიიდან თბილისში ჩამოვიდა. პროკურატურაში დეტალური განმარტება მისცა, როგორც ერთ- ერთმა ძირითადმა ინვესტორმა, სს „სავანე ღვინის ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარემ, კომპანიების „ტურრა ინკ“ და „ჯორჯიან პაუერის“ მფლობელმა და დირექტორმა, ასევე წარმოადგინა ყველა დამამტკიცებელი საბუთი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ, პროკურატურისგან განსხვავებით, გაითვალისწინა მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ამან მაინც არ შეუშალა ხელი ორგანიზებულ ბანდას ქონების მითვისებაში.

რობერტ ტომსონისვე განმარტებით, თბილისში ყოფნის დროს, ადვოკატ თამაზ სულაძის მეშვეობით შეხვდნენ მიხეილ უგულავა და ლადო კვარაცხელია. მათ განუმარტეს, რომ მთავრობის მიერ დაგეგმილი იყო ქარხნის ტერიტორიაზე კორპუსების აშენება და მოითხოვეს ქარხნის გადაფორმება. სანაცვლოდ, 1 წელიწადში დაპირდნენ ჩადებული ფულის ნაწილის ანაზღაურებას, თანაც იმ პირობით, თუ მათი საქმე კარგად წავიდოდა. საუბრის დროს პირდაპირ მიანიშნეს, რომ საქართველო არ არის უსაფრთხო ადგილი ურჩი ადამიანებისთვის. მიუხედავად აშკარა მუქარისა, რობ ტომსონმა მტკიცე უარი განუცხადა, ხოლო ლონდონში დაბრუნებისთანავე შეატყობინა ამის შესახებ თავის ადვოკატებს, რომლებსაც სთხოვა სათანადო რეაგირება.

თუმცა, ამის შემდეგ თუ ვინმეს ჰგონია, რომ მიტაცებულ ქონებას გაუფრთხილდნენ, ძალიან ცდება. ჯორჯ უილიამ კურტისი ქარხნის ტერიტორიაზე შევიდა და აი, რას გვიამბობს:

— პირადად ვიყავი იქ, 2007 წლის დასაწყისში, რა დროსაც ძველმა დაცვამ, რომელიც მიცნობდა, ცოტა ხნით შემიშვა ქარხნის ტერიტორიაზე. ყველაფერი, თუ რაიმე იყო ქარხანაში ტექნოლოგიური, რისი ჩაბარებაც ჯართში შეიძლებოდა, იქნა დაჭრილი და გატანილი, მათ შორის ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო, სპეც-შენადნობისგან დამზადებული 40-ზე მეტი ცისტერნა, რომელიც საცავებში ინახებოდა. უკვალოდ დაიკარგა ქარხნის დიდ, სადეგუსტაციო დარბაზში არსებული ახლადჩამოტანილი ტექნიკა, მოპარული იყო ალკოჰოლის დამამზადებელი ხაზი. ქარნის მიერ მიღებული ასობით დიპლომი თუ მედალი გაქრა. გაანადგურეს მზა პროდუქციის საწყობში არსებული დაახლოებით 200 000 აშშ დოლარის ალკოჰოლისა და ღვინის პროდუქცია, ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ცოცხალ კუთხეში ბინადარი ხოხბები, ფარშევანგები და გედები იყვნენ შეჭმული ან შიმშილით დახოცილი, სრულიად დარბეული და გაპარტახებული იყო უცხოელ სპეციალისტთა საცხოვრებელი ბლოკი და ოფისი. გატანილი იყო იქ არსებული მთელი ინვენტარი, მოპარული უცხოელ სპეციალისტთა ყველა პირადი ნივთი, კორპორატიული საბუთი, კომპიუტერები სპეციალური გეოლოგიურ საძიებო პროგამებით, რომლებიც ათობით ათასი დოლარი ღირს, უნიკალური ფორმატის პლოტერები, მცირე სადეგუსტაციო დარბაზის დეკორაცია, ბაღში არსებული ბრონზის სკულპტურები, მოკლედ, გაანადგურეს ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც ღირებული იყო. ამ ბანდის თავგასულობა და დაუსჯელობის სინდრომი იქამდეც კი მივიდა, რომ პრესის მეშვეობით საერთაშორისო კონკურსებსაც კი აცხადებენ მითვისებული ქონების გაყიდვის მიზნით და სარჩელის შეტანას აპირებენ სახელმწიფოს მიმართ, თითქოს ისინი იყვნენ დაზარალებულები და ითხოვენ კომპენსაციას. გულისარევამდე დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა უკიდურესად გართულდება იმ შემთხვევაში, თუ გაგრძელდება მოწმეთა დაშინება, მოსყიდვა, მასალების გაყალბება და ქონების განმეორებითი გადაფორმება. ამდენად, დაზარალებული მხარე ითხოვს, საკითხი საფუძვლიანად განიხილოს და უშუალო შემსრულებლების — მ. უგულავა, ვ. კვარაცხელია, ზ. გრიგოლია და გ. ლაცაბიძის მიმართ გამოიყენოთ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა, ხოლო დატაცებულ ქონებას — მდებარე ქ. თბილისი, პეტრიაშვილის №1 — დაადოს ყადაღა.

ჩვენ ვაგრძელებთ გამოძიებისათვის ხელშეწყობის მიზნით ინფორმაციის შეგროვებას, რომელსაც დამატებით მოგაწვდით. ვერ გეტყვით, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ფაქტია, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, რათა მომავალში ვერავინ გაბედოს სიტუაციითა და იმით სარგებლობა, რომ მას ხელისუფალი ჰქვია.

# ლიბერთი ბანკი იურიდიულ პირებს ახალ საკრედიტო პროდუქტს სთავაზობს

## იაფი ბიზნესსესხის მოცულობა 30 000-დან 1 000 000 ლარამდეა




**ლიბერთი ბანკი, საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს, რომლებსაც ბიზნესში მინიმუმ, ერთწლიანი გამოცდილება აქვთ, ახალ საკრედიტო პროდუქტს — იაფ ბიზნესსესხს სთავაზობს. იაფი ბიზნესსესხი გაიცემა ლარში, რომლის საპროცენტო განაკვეთი 9%-ია. სესხის მინიმალური ოდენობა 30 000, ხოლო მაქსიმალური — 1 000 000 ლარია. ახალი ბიზნესსესხის ვადა კი 6 თვიდან 10 წლამდე განისაზღვრა.**

ლიბერთი ბანკის კორპორატიული საბანკო საქმიანობის დეპარტამენტის თანათავმჯდომარემ, **დავით ვერულაშვილმა** ბანკის სათავო ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ახალი საკრედიტო პროდუქტი მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა განკუთვნილი. იაფი ბიზნესსესხის მთავარი ხიბლი ის არის, რომ მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, ლარში გაიცემა:

**„ახალი საკრედიტო პროდუქტი — იაფი ბიზნესსესხი 6 თვიდან 10 წლამდე ვადით გაიცემა. სესხის შუალედი 30 000 ლარიდან, 1 000 000 ლარამდე მერყეობს. ახალი სესხის საპროცენტო განაკვეთია 9% ლარში, რომელიც მცოცავია და საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზეა მიბმული. მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ცვლადია და ქვეყნის ინფლაციურ თუ სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული. მაგალითად, მიმდინარე წლის დასაწყისში, ეროვნული ბანკის მონეტარული განაკვეთი მაქსიმალურ ნიშნულზე — 6%-ზე დაფიქსირდა. ამის შემდეგ მისი დინამიკა უკვე დაღმავალია და დღევანდელი მდგომარეობით, 3,75%-ზე მეტი არ არის. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა საქართველოს საფინანსო სექტორის საბაზისო განაკვეთია, რომლის ცვლილება გარკვეული პერიოდის შემდეგ, გავლენას ახდენს საკრედიტო პროდუქტების განაკვეთებზე. შესაბამისად, მასზე მიბმული საკრედიტო პროდუქტი საბაზრო ურთიერთობებს მოწყვეტილი არ არის“.**

დავით ვერულაშვილის თქმით, იაფი ბიზნესსესხის პოტენციური კლიენტურა საქართველოში მოქმედი იურიდიული პირები არიან, რომლებსაც, როგორც მინიმუმ, ერთწლიანი ბიზნესგამოცდილება აქვთ. როგორც დავით ვერულაშვილმა განმარტა, იაფი ბიზნესსესხის მიზნობრიობა სტანდარტულია, რომლის გამოყენება შეიძლება საბრუნავი საშუალებების, მანქანა-დანადგარებისა და ძირითადი საშუალებების შესაძენად:

**„გარდა ამისა, ეს არის საინვესტიციო სესხი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ სესხით შესაძლებელია, სხვა ბანკში არსებული ვალდებულებების გაერთიანება-გაიაფება. რაც შეეხება სესხის გაცემის პირობებს, ისევე, როგორც სხვა, უკვე არსებულ ბიზნესსესხებზე, ახალ პროდუქტზეც ბანკის მოთხოვნაა, რომ კომპანიის მფლობელმა ფინანსური ანალიზის, ფინანსური მდგომარეობის სიჯანსაღისა და მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოადგინოს. ლიბერთი ბანკის ახალი საკრედიტო პროდუქტი — იაფი ბიზნესსესხი, ბანკში არსებული ბიზნესსესხებისგან განსხვავდება, რაც მიმდინარე საკრედიტო ისტორიის მიმართ ოდნავ გამკაცრებულ მიდგომაში გამოიხატება. ამ პროდუქტით სარგებლობისთვის, კომპანიებისგან მოვითხოვთ მონაცემებს, რომლითაც დასტურდება, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში, 30-დღიანი ვადაგადაცილება არ აქვთ. ამავდროულად, კომპანიის დამფუძნებლები მიმდინარე ნეგატივში არ უნდა იმყოფებოდნენ. მოგეხსენებათ, ბიზნესსესხებისა და კორპორატიული კლიენტების შემთხვევაში, ბანკს გარკვეული გამონაკლისის დაშვება შეუძლია, მაგრამ ამ პროდუქტის შემთხვევაში, ეს მიდგომაც გამკაცრებულია. ვითხოვთ, სესხის მოცულობისა და საბანკო უზრუნველყოფის თანაფარდობა, დაახლოებით, 75%-იან ნიშნულზე იყოს. ეს კოეფიციენტი დამოკიდებულია უზრუნველყოფის რაობაზე, მის ტიპსა და ლიკვიდობაზე“.**

დავით ვერულაშვილის განცხადებით, ლიბერთი ბანკის ახალი საკრედიტო პროდუქტი — იაფი ბიზნესსესხი, ხელმისაწვდომია ნებისმიერ სერვისცენტრში. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ როგორც ლიბერთი ბანკის სერვისცენტრებს, ასევე რეგიონულ ფილიალებსა და სათავო ოფისს, ან დაუკავშირდნენ კორპორატიულ ბანკირებს, რომლებიც სათავო ოფისის გარდა, რეგიონულ ფილიალებშიც არიან.

პრესკონფერენციის შემდეგ, „ვერსიამ“ დავით ვერულაშვილს რამდენიმე კითხვით მიმართა:

**— ბატონო დავით, თუ კომპანიის მფლობელი თქვენს მიერ ჩამოთვლილ ყველა პირობას აკმაყოფილებს, რამდენ ხანში შეძლებს იაფი ბიზნესსესხის მიღებას?**

— იმ პირობებში, როდესაც კლიენტი ბანკს სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის, ფინანსური ანალიზი 5-დან 7 დღემდე ვადაში მერყეობს. ამ მხრივ, ჩვენი ბანკი მოქნილი და ოპერატიულია.

**— მართალია, იაფი ბიზნესსესხი ახალი პროდუქტია, მაგრამ კომპანიები უკვე ხომ არ სარგებლობენ?**

— დიახ, რადგან ბოლო 10 დღის განმავლობაში, რამდენიმე კომპანიაზე უკვე გავეცით იაფი ბიზნესსესხი. ერთი მხრივ, ჩვენი კლიენტურისთვის ეს სესხი განაკვეთების გაიაფების საწინდარი გახდა, ხოლო მეორე მხრივ, ბანკმა თავისი კლიენტურა არ დაკარგა, რადგან კონკურენტმა ბანკებმა მათი გადაბირება ვერ შეძლეს.

*მაია მიშელაძე*

## ვერსიანიუსი

### საქართველოში 16 227 ადამიანი მონურ მდგომარეობაშია




მონობის წინააღმდეგ მებრძოლი ფონდი Walk Free Foundation მსოფლიოს 162 ქვეყნის მონობის რეიტინგი Global Slavery Index 2013 გამოაქვეყნა, სადაც საქართველო ტოპ-50-ში მოხვდა. რეიტინგის მიხედვით, საქართველო 50-ე ადგილზეა და მხოლოდ ერთი საფეხურით უსწრებს 51-ე ადგილზე მყოფ აზერბაიჯანს; ჩვენი ქვეყანა ასევე ერთი საფეხურით ჩამორჩება 49-ე ადგილზე მყოფ რუსეთს. სომხეთი კი Global Slavery Index 2013-ში 57-ე ადგილზეა. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველო მე-4 ადგილს იკავებს.

ავსტრალიაში დაფუძნებული ფონდის მიერ შედგენილი ინდექსის თანახმად, საქართველოში 16 227 ადამიანია მონურ მდგომარეობაში, მსოფლიოს მასშტაბით კი, მათი რაოდენობა 29,8 მილიონს შეადგენს. მათი უმრავლესობა ტრეფიკინგის მსხვერპლია. ინდექსის შედგენისას ავტორებმა თანამედროვე მონობა რამდენიმე ფაქტორით განსაზღვრეს – ადამიანებით ვაჭრობა, არასრულწლოვნების იძულებითი ქორწინება, იძულებითი სამუშაო და ბავშვების გაყიდვა/ექსპლუატაცია. 2013 წლის მონობის მსოფლიო ინდექსში პირველ ხუთეულში მოხვდა: მავრიტანია, ჰაიტი, პაკისტანი, ინდოეთი და ნეპალი. ყველაზე მეტი თანამედროვე მონა ქვეყნის მოსახლეობასთან შეფარდებით ინდოეთში დაფიქსირდა, სადაც მათმა რაოდენობამ 13 956 010 ადამიანი შეადგინა. 2,9 მილიონი მონაა, პაკისტანში — 2,1 მილიონი, რუსეთში კი მონათა რაოდენობა 516 ათასი გახლავთ. ყველაზე ნაკლები – მხოლოდ 22 მონა ჰყავთ ისლანდიაში. ამაზე ნაკლები კი, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, რომლებიც რეიტინგის ბოლო პოზიციებზე არიან.

*„ვერსიანიუსი“*

### ყველაზე მეტ ფულს საქართველოდან რუსეთში გზავნიან




ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2013 წელს იანვარ-სექტემბერში მეზობელ ქვეყანაში თითქმის 39 მილიონი დოლარი გადაირიცხა. მეორე ადგილზე ტრანსფერების მოცულობით უკრაინაა (16,4 მილიონი დოლარი), მესამეზე კი — საბერძნეთი (დაახლოებით, 12 მილიონი დოლარი).

საინტერესოა, რომ გადარიცხვების არეალს ბოლო წლებში აფრიკაც შეემატა. 2012 წლის მაისიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრანსფერები ნიგერიაში. წელს, ცხრა თვის განმავლობაში, ამ ქვეყანაში 4 მილიონი დოლარი გადაირიცხა.

წელს, სექტემბერში, საქართველოდან საზღვარგარეთ გადარიცხულმა თანხამ სულ 13,8 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 35%-ით მეტია შარშანდელთან შედარებით.

***bpi.ge***




## ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 40 ᲓᲦᲔᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ



Le Monde საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის დაკავების შესახებ წერს. სტატიაში აღნიშნულია, რომ კეზერაშვილი 14 ოქტომბერს ნიცასა და მონაკოს შორის ტერიტორიაზე დააკავეს, ქართველი სამართალდამცავების მოთხოვნის საფუძველზე: **„საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს ბრალად ედება თაღლითობა და კორუფცია. იგი ციხეში 40 დღეს გაატარებს და ამ დროის განმავლობაში მიიღებენ გადაწყვეტილებას მის შესაძლო ექსტრადიციაზე“.**

სტატიის მიხედვით, დავით კეზერაშვილი, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირი, არ ფიგურირებდა ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილ პირთა სიაში, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა თბილისმა მიმართა ინტერპოლს კეზერაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით: „მისი დაკავება საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ორ ქვეყანას შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის ნაწილია. 2004-2006 წლებში კეზერაშვილი ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი იყო. ის, ასევე, თავდაცვის მინისტრი იყო 2008 წლის ბოლომდე. ამ პოლიტიკური გამოცდილების შემდეგ დავით კეზერაშვილი ბიზნესით დაკავდა. არასამთავრობო ორგანიზაცია Transparency International-ის საქართველოს განყოფილება არაერთხელ ხაზს უსვამდა მისი აქტივების დაუდგენელ წარმომავლობაზე, რომლებიც დარეგისტრირებული იყო ოფშორულ ზონებში. ის საკმაოდ წარმატებული იყო სარეკლამო ბიზნესში, მისი მთავარი პარტნიორი კი დავით იაკობაშვილია — მოსკოვში მცხოვრები გავლენიანი ბიზნესმენი. 2013 წლის იანვრის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მას ბრალი დასდო 12 მილიონი დოლარის ქრთამის სახით აღებაში, რის სანაცვლოდაც, 2007-2012 წლის პერიოდში ის პროტექციას უწევდა კონტრაბანდული ალკოჰოლის ტრაფიკს უკრაინიდან, მაგრამ საქმეში მთავარი ბრალდება ეხება 2008 წელს და ტელეკომპანია „იმედს“. თავის დროზე, კეზერაშვილმა აიძულა მთავარი აქციონერი ჯოზეფ ქეი, ტელეკომპანია დაეთმო 10 მილიონი დოლარის სანაცვლოდ. დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე, დავით კეზერაშვილი საფრანგეთში ლონდონიდან ჩამოვიდა, სადაც ერთი თვე ყოველგვარი შეფერხების გარეშე გაატარა. როგორც ისრაელის პასპორტის მქონე ადამიანმა, საქართველო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვა. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ, დავით კეზერაშვილი მეორე მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელსაც მართლმსაჯულება შეეხო — იგი მიხეილ სააკაშვილის პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. იმ დროს, როდესაც მერაბიშვილი ორგანიზატორი იყო, დავით კეზერაშვილი უზრუნველყოფდა პარტიის დაფინანსებასა და ურთიერთობების განვითარებას კერძო სექტორის მსხვილ მეწარმეებთან“.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲘᲡᲔᲕ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ“ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ



## შეიცვალა თუ არა საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲔᲕᲘᲫᲔ
593-219-042

**კრიმინალურ სამყაროში დიდი გადატრიალება არ შედგა. სახელებია სხვა, თორემ ორგანიზებულ დანაშაულს კვლავ ის ძალები მართავს, ვინც ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში მართავდა — კრიმინალური ელიტის ქართული დაჯგუფება. სხვადასხვა ეთნიკურ კლანს ბევრჯერ ჰქონდა მცდელობა, დამნაშავეთა სამყაროში ქართველების მმართველობის ხანა დაესრულებინა, ფულიც უამრავი დაიხარჯა და სისხლიც ბევრი დაიღვარა... უკანასკნელი იერიში მაშინ მიიტანეს, როცა მოსკოვში თბილისელი ქურდი, იაპონჩიკის მემკვიდრე ასლან უსოიანი, იგივე დედ ჰასანი მოკლეს. ეს მკვლელობა „დამნაშავეთა მეფის“ ტახტის ხელში ჩასაგდებად და გავლენის სფეროების ხელახლა გადასანაწილებლად მოხდა. „ვერსია“ უკვე წერდა დედ ჰასანის მკვლელობის სავარაუდო მიზეზებზე. ერთ-ერთი ვერსიით, უსოიანი კიდევ ერთი ქართული დაჯგუფების, ტარიელ ონიანის კლანის წევრებმა გამოასალმეს სიცოცხლეს; მეორე ვერსიით კი მკვლელობა „კანონიერმა ქურდმა“ როვშან ჯანიევმა შეუკვეთა. ეს უკანასკნელი, რომელსაც „კრიმინალთა“ შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, შეეცადა, ხელში ჩაეგდო ძალაუფლება. რით დასრულდა მისი სურვილი და მცდელობა, ამის შესახებ ინფორმაციას, ექსპერტ-კრიმინალისტი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ გვაწვდის.**

— როვშან ჯანიევმა, მართლაც, სარისკო ჩანაფიქრის განხორციელება წამოიწყო. პრინციპში, ამისთვის ფულიც ჰქონდა და ავტორიტეტიც, რაც მისი პიროვნებიდან გამომდინარეობს — ბავშვობაში მამა მოუკლეს, ის კი სასამართლოში იარაღით შევიდა და მამის მკვლელი სამი კაცი სასამართლო პროცესის დროს მოკლა. კრიმინალურ წრეებში ეს ვაჟკაცური ნაბიჯი მოუწონეს და მალე, პრინციპული და შემტევი ხასიათის დამსახურებით, „კანონიერი ქურდის“ სტატუსიც მიიღო. აქედან იწყება ჯანიევის კრიმინალური კარიერა, რომელმაც მოგვიანებით, დიდ ავიაციაში მოინდომა ფრენა, დამნაშავეთა სამყაროში რყევებიც გამოიწვია და არაერთი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა.

**— რას გულისხმობთ „დიდ ავიაციაში გადასვლის მცდელობაში“?**

— ვსაუბრობთ ორგანიზებულ დანაშაულზე, რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული არა მარტო რუსეთში, არამედ ევრაზიის კონტინენტზე და მის გარეთაც. ძალა, რომელიც ამ ყველაფერს მართავს, სამოციანი წლებიდან გამოდის ასპარეზზე. ეს ის პერიოდია, როცა წარსულს ბარდება ქურდული ტრადიციები, ინგრევა ძველი „ქურდული“ ადათ-წესები... ამ ნანგრევებზე კი აღმოცენდება მაფიოზური ტიპის დამნაშავეთა ერთობა, რომელიც პოლიტიკური კავშირების გამოძებნისა და სახელისუფლებო წრეებში შეღწევის გზით ცდილობს ლეგიტიმაციას, რაც ყველაზე კარგად ქართველმა კრიმინალებმა მოახერხეს. ოთარ კვანტრიშვილის დროს რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტთან, ბორის ელცინის ოჯახთან დაახლოებაც კი მოხერხდა. ქართველმა „ქურდებმა“ ასევე დაიწყეს ადგილობრივი მმართველობისა თუ ფედერალურ დონეზე, თავიანთი კადრების გაყვანა სხვადასხვა თანამდებობაზე — ეს საკმაოდ რთული პროცესი იყო, მაგრამ მაინც შეძლეს და, საბოლოოდ, მივიღეთ ასეთი სურათი: არსებობს ორგანიზებული კრიმინალური ორგანიზაცია, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამართალდამცავ სტრუქტურებში და ამ ქსელში კოლოსალური თანხების მიმოქცევა ხდება. დღეს, კრიმინალურ სამყაროში ლიდერი ისაა, ვინც აკონტროლებს ვითარებას და პასუხს აგებს ფულის მიმოქცევის სქემის გამართულ მუშაობაზე — ასეთი იყო დედ ჰასანი... თუკი ვინმე ლიდერს მოკლავს, აიმხედრებს არა მარტო „კანონიერ ქურდებს“, არამედ მთელ იმ ლეგიტიმურ სპექტრს, რომელიც ამ სქემაშია ჩართული. სპექტრი კი, მერწმუნეთ, ძალიან დიდია: დღეს რუსეთში, უბნის ინსპექტორიდან დუმის დეპუტატამდე თუ კრემლის ჩინოვნიკამდე ბევრს აქვს ფინანსური სარგებელი ამ სისტემისგან. უნდათ მათ, ამ ყველაფერს რამე დაემუქროს?

**— ცხადია, არ უნდათ, მაგრამ ისიც ფაქტია — წლობით აწყობილი სისტემა ავტოპილოტის რეჟიმში მუშაობს და მის მართვას როვშან ჯანიევი კი არა, ნებისმიერი კრიმინალი შეძლებდა.**

— როვშან ლენქორანსკის ასეთი კავშირები არ ჰქონია... იგი ფიქრობდა, რომ კრიმინალური ძალაუფლების ხელში აღების შემთხვევაში, ახალ სისტემებს შექმნიდა, რაც მისი საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა. საათის მექანიზმივით ზუსტად აწყობილ სისტემაში დისონანსის შეტანას მას არავინ აპატიებდა და მოხდა ის, რაც ლოგიკურიც იყო და აუცილებელიც სისტემის შესანარჩუნებლად: დედ ჰასანის გარდაცვალებიდან მალევე შედგა მოსკოვში „ქურდული სხოდკა“, რომელმაც როვშან ლენქორანსკისა და მის დაჯგუფებას „ქურდის“ ლიკვიდაციისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. განაჩენი თანმიმდევრულად აღასრულეს: ცოტა ხნის წინ, მოსკოვში, რესტორან „გრუზინსკაია კუხნიაში“ მოკლეს ჯანიევის კლანის წევრი, ასევე „კანონიერი ქურდი“ რუფატ ნასიპოვი, იგივე რუფო განჯინსკი, რითაც ჯანიევს მთავარი საყრდენი გამოაცალეს. ამის შემდეგ მალევე, კლავენ მისი დაჯგუფების კიდევ ერთ წევრს, ასტამურ გულიას, იგივე ასტამურ სუხუმსკის და რავსან ჯანიევი იძულებული ხდება, კრიმინალური ხელისუფლების ხელში აღების ნაცვლად, საერთოდ გაიქცეს რუსეთიდან; თუმცა მას განაჩენი არა მარტო „ქურდებმა“, არამედ მთელმა სისტემამ გამოუტანა და ვერც როვშან ჯანიევმა შეძლო შორს წასვლა: იგი თურქეთის ქალაქ სტამბოლში მოკლეს. ასე უშედეგოდ დასრულდა კრიმინალური ტახტის უზურპაციის მცდელობა.

**— ახლა ვინ მართავს მთელ ამ სისტემას?**

— სისტემის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, წინასწარ არჩევენ მემკვიდრეს — ეს საჭიროა, რათა ლიდერის გარდაცვალების შემთხვევაში, წამითაც არ მოიშალოს მისი გამართული მუშაობა. მაგალითად, იაპონჩიკი ჯერ ისევ საღსალამათი იყო, როცა მემკვიდრედ დედ ჰასანი დაასახელა, ჰასანმა კი, თავის მხრივ, ასევე თბილისური წარმოშობის თემურ მირზოევი, იგივე ტიმურ სვერდლოვსკი გამოაცხადა მემკვიდრედ. დღეს სწორედ ეს კაცი მიიჩნევა რუსეთის კრიმინალური სამყაროს „მაყურებლად“. არაფერი შეცვლილა — „ობშიაკს“ ფლობს ის, ვინც ფლობდა და, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს იქნება ასე.

**— საქართველოს ციხეებში მყოფ „ქურდებთან“ დაკავშირებით რა ხდება?**

— დედ ჰასანის მოკვლის შემდეგ ამ ხალხსაც ცუდი თვალით უყურებენ რუსეთში, ამიტომ გათავისუფლებული „ქურდები“ იძულებულნი არიან, ევროპაში ეძებონ იღბალი და არა რუსეთში, სადაც ახალ სახეებს მტრულად ხვდებიან. მათ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ აქაც არ დაედგომებათ.

**— არადა, ძველი ხელისუფლება ახალს აბრალებს — „ქურდული ტრადიციების“ აღორძინება ხდებაო, მაგალითად კი მაყურებლის ინსტიტუტის დაბრუნებას ასახელებს.**

— არ შემიძლია არ დავეთანხმო მინისტრ სოზარ სუბარს, რომ ეს ინსტიტუტი არსებობდა, არსებობს და იარსებებს. ნაციონალურმა მმართველობამ თვითონ გამოიყვანა ისეთი ყაიდის „მაყურებელი“, რომელიც განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობდა პატიმარზე და ციხე ტერორში ჰყავდა. კლასიკური გაგებით, ასეთი ტიპის მაყურებელი კრიმინალური საძმოს წევრი კი არა, პოლიციური დანამატია და მათი არსებობის მაგალითის მოყვანით, „ქურდული ტრადიციების“ აღდგენაზე საუბარიც სასაცილოა. თავის დროზე, სააკაშვილის ხელისუფლებამ „კანონიერი ქურდები“ იმიტომ ჩამოიშორა, რომ მათში კონკურენტები დაინახა ბიზნესის ძარცვის საქმეში. დღეს მახარებს, რომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ხდება.

# არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

## სასამართლო 2013 წლის 9 თვის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს

2013 წლის 15 ოქტომბერს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. პროკურატურა არჩილ წოწკოლაურს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენას სდებდა ბრალად. წინასწარი გამოძიების მასალების თანახმად, წოწკოლაურის ბრალეულობა მცხეთა-თიანეთში სხვადასხვა ჯიშის ხე-ტყის უკანონო გაჩეხვის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარეობდა.

არჩილ წოწკოლაურს აღკვეთი ღონისძიების სახედ თავდაპირველად შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, თუმცა მოგვიანებით, არჩილ წოწკოლაურის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, სასამართლომ არჩილ წოწკოლაურს აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა შეუცვალა ნაკლებად მკაცრი ღონისძიებით - გირაოთი, ოცი ათასი ლარის ოდენობით და იგი დაუყოვნებლივ გაათავისუფლა სხდომის დარბაზიდან.

2013 წლის 15 ოქტომბერს მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად მიიჩნია, რომ ბრალდების მიერ ვერ იქნა დადასტურებული არჩილ წოწკოლაურის ბრალეულობა და მის მიმართ ბრალდების ყველა ეპიზოდში დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

### სისხლის სამართლის საქმეთა 9 თვის სტატისტიკა

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ 15 ოქტომბერს გამოტანილი გამამართლებელი გადაწყვეტილება 2013 წლის შემაჯამებელ სტატისტიკურ მონაცემებში აისახება. მანამდე კი, უზენაესი სასამართლო 2013 წლის 9 თვის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს.

სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, როგორც აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებისას, ასევე, სასჯელის გამოყენების დროს, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მეტი წილი მსჯავრდებულთა სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი.

სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სასამართლოსთან შეხების პირველი ეტაპი, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვით იწყება. სასამართლო პირს აღკვეთის ღონისძიებად შეუფარდებს პატიმრობას ან სხვა არასაპატიმრო ღონისძიებას. 2013 წლის 9 თვის სტატისტიკის თანახმად, სასამართლოებმა 9 301 პირის მიმართ გამოიყენეს ასეთი ღონისძიება. მათ შორის- დაპატიმრება გამოყენებული იქნება 2456 პირის მიმართ(26,4%), ხოლო არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიება- 6845 შემთხვევაში (73,6 %). არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებებში გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 91,8 %, ხოლო სულ შეფარდებულ ყველა სახის აღკვეთ ღონისძიებებში გირაოს გამოყენების მაჩვენებელი - 67,5 %-ია. რაც შეეხება სხვა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას: გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენებული იქნა 2080 შემთხვევაში, პირადი თავდებობა- 9 შემთხვევაში, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა-12, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა-2, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ-238 შემთხვევაში.

ბოლო წლების სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მიხედვით, მოსამართლეების მიერ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს პატიმრობის გამოყენების რიცხვი ყოველწლიურად იკლებს და საქართველოს სასამართლო სისტემა ევროპული სტანდარტების დონეს უახლოვდება, თუმცა 2013 წლის 9 თვის სტატისტიკური მონაცემების განსაზღვრისას, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ასევე გახლდათ, პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობების რიცხვის შემცირება. პროკურორები მიმდინარე წელს უფრო მეტად აღკვეთის ღონისძიებად გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართავდნენ სასამართლოს. აღკვეთის ღონისძიების საერთო მონაცემებში არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდების პროცენტული ზრდაც სწორედ ამ ფაქტორებით იყო განპირობებული. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევაც, როცა სასამართლომ პირი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საერთოდ დატოვა აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის შეფარდების გარეშე. სასამართლომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით იმოქმედა და კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად დაიცვა ბრალდებულის ინტერესი.

2013 წლის 9 თვის სტატისტიკის მიხედვით, ასევე გაზრდილია სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილ საბოლოო გადაწყვეტილებებში არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობაც.

**მონაცემები ნასამართლობის შესახებ**

| წლები | სულ მსჯავრდებულია | მათ შორის მიესაჯათ: თავისუფლების აღკვეთა | | პირობითი მსჯავრი | | ჯარიმა | | საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა | | გამასწორებელი სამუშაო | | გათავისუფლდა ამნისტიით ან სხვა საფუძვლით | | გადადებული განაჩენის აღსრულება | | თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პირი | პირი | % | პირი | % | პირი | % | პირი | % | პირი | % | პირი | % | პირი | % | პირი | % |
| 2012 წლის 9 თვე | 9162 | 3871 | 42.3 | 4258 | 46.5 | 620 | 6.8 | 405 | 4.4 | | | 1 | 0.01 | 1 | 0.01 | 6 | 0.07 |
| 2013 წლის 9 თვე | 10102 | 2623 | 26.0 | 6006 | 59.5 | 1141 | 11.3 | 184 | 1.8 | | | 146 | 1.4 | | | 2 | 0.02 |

**აღკვეთის ღონისძიებების სტრუქტურა**

**2013 წლის 9 თვე**




**2012 წლის 9 თვე**




2013 წლის 9 თვეში მსჯავრდებული 10 102 პირიდან თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 2623 პირს, ეს რიცხვი მსჯავრდებულთა 26 % შეადგენს. სასჯელის სახედ პირობითი მსჯავრი დაედო 6006 პირს ( 59,5%), ჯარიმა -1141 პირს (11,3%), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა -184 პირს (1,8%).

რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენებს. 2013 წლის 9 თვეში გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 43 პირის მიმართ, ნაწილობრივ გამამართლებელი-28 პირის მიმართ, ხოლო საქმე შეწყდა 473 პირის მიმართ. საერთო ჯამში, ეს რაოდენობა სასამართლოს მიერ არსებითად განხილული საქმეების 38,1 % შეადგენს.

ყურადღებას იქცევს, ასევე სტატისტიკური მონაცემების ის გრაფა, რომელიც სააპელაციო სასამართლოებში გასაჩივრებული საქმეებს ეხება.

როცა პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარე მედიის მეშვეობით, სასამართლოს დისკრედიტაციას ცდილობს, , სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარეებს ურჩევენ საკუთარი არგუმენტები სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ და უკვე ზემდგომი ინსტანციები იმსჯელებენ მათი საჩივრის დასაბუთებულობაზე.

როგორც სტატისტიკიდანაც ირკვევა, 2013 წლის 9 თვეში სააპელაციო სასამართლოების მიერ მსჯავრდებულთა სასარგებლოდ გამოტანილი განაჩენების ხვედრითმა წილმა შეადგინა 52,5 %. სააპელაციო სასამართლოების მიერ 2013 წლის 9 თვეში 13 პირის მიმართ გაუქმდა გამამტყუნებელი განაჩენი და სასამართლომ 13-ივე პირი გაამართლა. 4 პირის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე, 153 პირს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუმსუბუქდა სასჯელი.

სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის სრულად მოძიება შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს ვებ.გვერდზე (www.supreme-court.ge)

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | 5 | | | | 3 | |
| | 3 | | | | | | 5 | 4 |
| | | 8 | | 7 | | | | 6 |
| | | | 3 | | 9 | 6 | | 5 |
| | | | | | | | | |
| 8 | | 5 | 1 | | 2 | | | |
| 1 | | | | 3 | | 5 | | |
| 7 | 6 | | | | | | 8 | |
| | 5 | | | | 4 | 3 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | | | | 9 |
| | | | 5 | 9 | | | | 3 |
| | 4 | | | 6 | | | 7 | |
| 4 | 1 | 3 | | | | | 6 | |
| | | 5 | | | | 2 | | |
| | 9 | | | | | 4 | 3 | 1 |
| | 6 | | | 7 | | | 5 | |
| 5 | | | | 2 | 4 | | | |
| 8 | | | | | | 7 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | 3 | | | | 9 |
| 6 | | | | | | | 2 | |
| | 1 | | | | 5 | | | |
| | | 7 | 2 | 8 | | 4 | | |
| 4 | | | | | | | | 6 |
| | | 6 | | 4 | 7 | 3 | | |
| | | | 8 | | | | 5 | |
| | 3 | | | | | | | 4 |
| 7 | | | | 5 | | 6 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | | | 7 | | 4 | | 2 |
| 7 | | | | | | | 8 | |
| | | 2 | | 5 | | | | |
| | 9 | | | | | 7 | | |
| | | | 6 | 9 | 5 | | | |
| | | 6 | | | | | 1 | |
| | | | | 2 | | 8 | | |
| | 4 | | | | | | | 1 |
| 1 | | 8 | | 3 | | | 4 | 5 |

## კაცის ხასიათს სასმელით გაიგებთ



როგორც ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, მამაკაცის ხასიათის ამოცნობა სულ ადვილად, მისი საყვარელი სასმელის მიხედვით ყოფილა შესაძლებელი. მაგალითად, წითელი ღვინის მოყვარული ძლიერი სქესის წარმომადგენელი ნამდვილი ჯენტლმენი ყოფილა — ის ბევრი კარგი თვისებითაა დაჯილდოებული და მანდილოსნებს ღირსეულ პატივს მიაგებს. ვისაც ყავა უყვარს, ის მამაკაცი ეჭვიანი და გაუბედავია, მისი ნდობის მოპოვება ძალიან ძნელია ანდა სულაც შეუძლებელი. ლუდის მოყვარული კაცი ბაქია და ეგოისტია — ის ნებისმიერ სფეროში თავს განსწავლულად მიიჩნევს და სუსტ სქესთანაც თავს ყოვლისმცოდნედ ასაღებს. ძლიერი სქესის ის ნაწილი, ვინც შუშხუნა სასმელს (შამპანური, კოკა-კოლა, ფანტა) ანიჭებს უპირატესობას, ცბიერი და არასანდოა. ნატურალური წვენების მოყვარულებს კი ჩაკირკიტება, გამოძიება სჩვევიათ. მინერალური წყალი, როგორს სპეციალისტები გვარწმუნებენ, თურმე, მარტოხელა მამაკაცების საყვარელი სასმელია და ასეთების გულის მოგება მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის ძალიან ძნელი იქნება.

## კივი ჯანმრთელობას იცავს



კივის სასარგებლო თვისებებმა მკვლევართა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და იაპონელმა სწავლულებმა, გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო ხილად დაასახელეს. ანტიოქსიდანტების რაოდენობის მიხედვით, კივიმ აჯობა ჯანსაღი კვების ისეთ „მონსტრებს“, როგორიც ფორთოხალი, გრეიპფრუტი, ვაშლი და მანდარინია. ტოკიოს უნივერსიტეტის სწავლულებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს კივის ორი ჯიშის თვისებები და დაადგინეს, რომ პოლიფენოლები — ანტიოქსიდანტები, რასაც ეს ხილი შეიცავს, სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისთვის. ექსპერიმენტისას მოხალისეები დღის განმავლობაში სამ კივის მიირთმევდნენ, რის შემდეგაც ბიოლოგები ანტიოქსიდანტების დონეს უსინჯავდნენ. კივის შეუძლია აღკვეთოს ისეთი დაავადებების განვითარება, რომელიც დამჟანგავი პროცესებითაა გამოწვეული — ათეროსკლეროზი, გულის უკმარისობა, სიმსივნე, ნაადრევი დაბერება, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადებები.

## გაყინული ხილი ახალზე უკეთესია



მომხმარებლის მოსაზრება, რომ ახალი ხილი და ბოსტნეული გაყინულზე უკეთესია, არასწორია, — დაამტკიცეს სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან მას შემდეგ, რაც ახალი და გაყინული მცენარეული პროდუქტის შედარებითი ანალიზი ჩაატარეს. როგორც გაირკვა, გაყინული ხილი გაცილებით მეტ ანტიოქსიდანტს შეიცავს, როგორიცაა „ცე“-ვიტამინი, ანტოციანინი, პოლიფენოლები, ბეტა-კაროტინი და ლუტეინი. ამ ფენომენის ახსნა კი მარტივი აღმოჩნდა: მოსავლის აღების შემდეგ ნაყოფი გასაყინად მაშინვე მიაქვთ, ახალი კი, ვიდრე სუპერმარკეტებამდე მიაღწევს, კვირების განმავლობაში გზაშია, მერე მყიდველის მაცივარში ინახება და შესაბამისად, ყველა დადებით თვისებას კარგავს, მომხმარებელს კი მხოლოდ ლამაზი გარეგნობა რჩება, გემო და კმაყოფილების გრძნობა, რომ სასარგებლო პროდუქტი მიირთვა.

## სალექი რეზინი ჭარბი წონის წინააღმდეგ



დიეტოლოგების განცხადებით, ზედმეტი წონა, მხოლოდ ესთეტიური პრობლემა არ არის და ის დაკავშირებულია ჰიპერტონიასთან, ათეროსკლეროზთან, დიაბეტთან... თუმცა, ვინც ერთხელ მაინც სცადა დიეტის დაცვა, დარწმუნდა, რომ სასურველი შედეგის მიღწევა ადვილი არ არის — ამა თუ იმ საკვების აკრძალვისას ადამიანს უფრო უძლიერდება მადა. არგენტინელმა სწავლულებმა კი ისეთი საღეჭი რეზინი შექმნეს პიტნის არომატით, რომელიც მადას აქვეითებს და ხელს უწყობს გახდომას. ახალი კევი მხოლოდ აფთიაქებში გაიყიდება და ყოველგვარი დანიშნულების გარეშე გაიცემა, დიეტოლოგებთან რეკომენდაციის გავლა კი მსურველებს იქვე შეეძლებათ. როგორც სიახლის ავტორები აცხადებენ, საღეჭი რეზინი ბიოლოგიური დანამატებითაა და არ შეიცავს შაქარს. მწვანე ყავის ექსტრატი კი ადამიანს შიმშილის გრძნობას გაუქრობს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 | 4 |
| 8 | 1 | 9 | 2 | 4 | 7 | 6 | 5 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 9 | 8 | 2 | 7 | 1 |
| 1 | 3 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 4 | 5 | 2 | 9 | 1 | 3 | 8 | 6 | 7 |
| 9 | 6 | 7 | 8 | 2 | 4 | 3 | 1 | 5 |
| 7 | 2 | 1 | 4 | 8 | 9 | 5 | 3 | 6 |
| 6 | 9 | 5 | 3 | 7 | 2 | 1 | 4 | 8 |
| 3 | 8 | 4 | 1 | 5 | 6 | 7 | 9 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 3 | 8 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 8 | 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 7 | 3 |
| 9 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 |
| 1 | 7 | 9 | 2 | 3 | 4 | 8 | 6 | 5 |
| 5 | 6 | 8 | 7 | 1 | 9 | 3 | 4 | 2 |
| 3 | 4 | 2 | 8 | 5 | 6 | 1 | 9 | 7 |
| 4 | 2 | 6 | 5 | 9 | 8 | 7 | 3 | 1 |
| 8 | 1 | 5 | 6 | 7 | 3 | 9 | 2 | 4 |
| 7 | 9 | 3 | 1 | 4 | 2 | 6 | 5 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 3 | 9 | 8 | 6 | 4 | 7 | 5 |
| 4 | 8 | 5 | 7 | 1 | 3 | 9 | 2 | 6 |
| 9 | 7 | 6 | 2 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 5 | 3 | 7 | 4 | 9 | 8 | 2 | 6 | 1 |
| 6 | 4 | 2 | 5 | 7 | 1 | 8 | 3 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 2 | 7 | 5 | 4 |
| 3 | 6 | 4 | 1 | 2 | 9 | 5 | 8 | 7 |
| 8 | 5 | 1 | 3 | 4 | 7 | 6 | 9 | 2 |
| 7 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 2 | 6 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 6 | 5 | 1 | 9 | 4 | 8 | 2 | 3 | 7 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 2 | 9 | 3 | 1 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 8 | 1 | 7 | 9 | 2 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 6 | 3 | 4 | 7 | 8 | 5 |
| 3 | 9 | 5 | 4 | 8 | 6 | 1 | 7 | 2 |
| 1 | 6 | 4 | 7 | 9 | 2 | 8 | 5 | 3 |
| 7 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | 4 | 6 | 9 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 1 | 4 | 9 | 7 | 5 | 2 | 6 |
| 2 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 |
| 7 | 3 | 4 | 9 | 8 | 2 | 1 | 6 | 5 |
| 1 | 6 | 2 | 7 | 5 | 4 | 9 | 8 | 3 |
| 8 | 5 | 9 | 1 | 3 | 6 | 7 | 4 | 2 |
| 9 | 2 | 6 | 5 | 1 | 8 | 3 | 7 | 4 |
| 4 | 1 | 8 | 6 | 7 | 3 | 2 | 5 | 9 |
| 5 | 7 | 3 | 2 | 4 | 9 | 6 | 1 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 5 | 9 | 7 | 1 | 8 | 6 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 6 | 8 | 5 | 7 | 4 | 3 |
| 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 5 | 1 | 9 |
| 7 | 9 | 8 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 2 | 7 | 1 | 3 | 4 | 9 | 8 |
| 3 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 6 | 7 | 5 |
| 5 | 2 | 7 | 8 | 6 | 9 | 1 | 3 | 4 |
| 1 | 8 | 4 | 3 | 2 | 7 | 9 | 5 | 6 |
| 9 | 6 | 3 | 1 | 5 | 4 | 2 | 8 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 6 | 9 | 1 | 5 | 3 | 8 | 2 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 8 | 7 | 6 | 1 | 9 |
| 1 | 8 | 9 | 2 | 6 | 3 | 5 | 4 | 7 |
| 2 | 1 | 4 | 5 | 7 | 9 | 8 | 6 | 3 |
| 6 | 5 | 3 | 1 | 2 | 8 | 9 | 7 | 4 |
| 9 | 7 | 8 | 3 | 4 | 6 | 2 | 5 | 1 |
| 4 | 6 | 1 | 8 | 9 | 2 | 7 | 3 | 5 |
| 3 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 8 | 9 | 5 | 7 | 3 | 1 | 4 | 2 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 4 | 6 | 8 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 8 | 2 | 1 | 9 | 5 | 4 | 6 | 7 | 3 |
| 7 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 | 4 |
| 6 | 4 | 9 | 8 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 9 | 7 | 6 | 8 |
| 1 | 8 | 7 | 2 | 6 | 3 | 9 | 4 | 5 |
| 2 | 1 | 5 | 7 | 9 | 8 | 4 | 3 | 6 |
| 4 | 7 | 8 | 1 | 3 | 6 | 5 | 9 | 2 |
| 9 | 6 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 |

მე-13 გვერდი: 1. მოსკოვი; 2. ოსტრაკიზმი; 3. ფაუ; 4. სცილა; 5. ვანგა; 6. ემბაზი; 7. ბარათელი; 8. ზადენი; 9. კონსტანცია; 10. უკულელე; 11. „ერნანი“; 12. ინვარი; 13. გოლი; 14. კორიდა; 15. ეპიკურე; 16. ია; 17. ოკარინა; 18. ალ; 19. მეთანი; 20. ელი; 21. ვანკუვერი; 22. ინდიგო; 23. პირანდელო; 24. ალტი; 25. ილია; 26. აული; 27. კარცერი; 28. იუპიტერი; 29. აფროდიტე; 30. დამოკლე; 31. მიკადო; 32. მალმი; 33. ფრუნზე; 34. სურა; 35. ალალი; 36. აგრიპა; 37. პიზა; 38. ასპიროზი; 39. ადელი; 40. ლოტი; 41. ოდა; 42. აირი; 43. ზეთი; 44. დოგი; 45. ბლოკი; 46. იეტი; 47. აია; 48. ციტადელი; 49. ილორი; 50. ბრუტო; 51. რადა; 52. აიზეკ; 53. გრუზია; 54. ეხი; 55. ნარიტა; 56. თარი; 57. კუნგ ფუ; 58. ფული; 59. რარიტეტი; 60. რი; 61. ელე; 62. ირისი; 63. „ლადა“; 64. იალნო.

1. მწერალ მარიამ თათიშვილირატიანის ფსევდონიმი
2. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში
3. საალერ-სო სიტყვა ქართულ ენაში
4. უკუსვლა, დაქვეითება
5. ლეშისმჭამელი ფრინველი
6. რომის პაპის წერილი ყველა კათოლიკესადმი
7. საოლქო ცენტრი რუსეთში
8. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი
9. რეპრესირებული ქართველი თეატრალური მხატვარი
10. თევზის დელიკატესი
11. ყელის მწვავე ინფექციური დაავადება
12. თარსი რიცხვი
13. ცირკის მასხარა
14. ორთქლის მანქანის გამომგონებელი
15. დამუხტული ატომი
16. საბავშვო თამაში „... სული გსურს?“
17. ცხიმოვანი ქსოვილის სიმსივნე
18. სოფელი ქედის რაიონში
19. გლამურული ჟურნალი ქალებისათვის
20. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
21. ქლიავის ჯიში
22. ქართული მონასტერი ისტორიული კლარჯეთში
23. ფრანგი მწერალი ქალი ფრანსუაზ ...
24. იანის „მეწყვილე“ ჩინურ ფილოსოფიაში
25. სხვადასხვა მხარეს მზირალი თვალები
26. შექსპირის „ჰამლეტის“ პერსონაჟი
27. ლესოთოს დედაქალაქი
28. უეცრად გამდიდრებული ადამიანი
29. ცნობილი ბრიტანელი მსახიობი ლოურენს ...
30. საფქვილე ყუთი წისქვილში
31. ჩინური ტანვარჯიში
32. ლამაზად მორთული კიმონო
33. ავტორი რომანისა „სოლარისი“
34. სამეჯლისო ცეკვა
35. ალაზნის მარჯვენა შენაკადი
36. ოთხი წერტილი კამათელზე
37. სულაკაურის ზღაპრის მთავ. პერსონაჟი
38. ის, რაც პანდორას ყუთში ჩარჩა
39. ბიბლიური სარას მეუღლე
40. პლატონის ფილოსოფიის სკოლის სახელწოდება
41. პიტალო კლდე
42. სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტი
43. დიდი ზომის ფოთოლმცვივანი ხე
44. ბრინჯაოს ძველქართული სახელწოდ.
45. ხევზე გადებული ხიდისებური ნაგებობა
46. შეძახილი კავკასიური ცეკვების დროს
47. ალეგორიული მოთხრობა
48. მსხვილად ნაგრეხი რამდენიმე წვერი ძაფი
49. ცნობილი ბერძენი მულტიმილიონერი
50. ეკატერინე ჭავჭავაძის ფრანგი სიძე
51. ტკივილის გამომხატველი შორისდებული
52. ქართული ღვინის მარკა
53. სამის მომდევნო რიცხვი
54. კანის ინფექციურ-პარაზიტული დაავადება
55. დახურული მსუბუქი ავტომობილის ტიპი
56. ბრალდებულის წამება გახურებული შანთით შუა საუკუნეების ევროპაში
57. იტალიური პელმენი
58. ზიმბაბვეს დედაქალაქი
59. ათოსის და პორთოსის მეგობარი
60. ფრანგ. კინოკომედია პიერ რიშარის მონაწილეობით
161. ადამის ცოლი
62. მოულოდ. შემოწმება
63. თბილისის მეტროპოლიტენის სადგური
64. ვირტუოზი გიტარისტი ... ყვითელაშვილი
65. კრინოლინის ქართული სახელწოდება
66. დღის მონაკვეთი
67. ნაბიჯი ბალეტში
68. ქალაქის ტიპის დასახლება
69. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
70. მოლიერის იონბაზი პერსონაჟი
71. მარტო მყოფი, მარტოხელა ბიჭი
72. მზის ამოსვლა, განთიადი
73. პარკოსანი მცენარე
74. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
75. რკინის პატარა ნიჩაბი ცომის ასაფხეკად
76. ცნობილი ქართველი კალათბურთელი
77. კოსმეტიკური ფირმა „...-ფაქტორი“
78. ქალის თავსაბურავი, პირბადე
79. მწერალი ... შენგელაია
80. საქართველოს ვალუტა
81. ტროპიკული ხილი
82. ცისკარას სატრფო
83. ქალაქი ეგვიპტეში
84. ამერიკელი კინორეჟისორი





# მობილურს მაისური დაგიტენით

ტექნიკური პროგრესის წყალობით, სულ მალე შეგვეძლება, ურნაში მოვისროლოთ ელექტროსატენი საშუალებები და მობილური ტელეფონები საყვარელი მაისურის წყალობით დავტენოთ. ამერიკელი მკვლევარების ჯგუფმა სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტიდან ჩვეულებრივი ბამბის ქსოვილი სუპერკონდენსატორად აქცია — მაღაზიაში ნაყიდი ჩვეულებრივი მაისური ფტორის ხსნარში დაასველეს და უჟანგბადო კამერაში გააშრეს. ასეთი პროცედურის შემდეგ ქსოვილის ბოჭკოები გააქტიურებული ნახშირის მდგომარეობაში გადავიდა, მაისური კი მტკიცე და ელასტიური დარჩა, ელექტრული მუხტის აკუმულირების შედეგად კი მობილური ტელეფონის ან აიპოდის დატენვა სავსებით შესაძლებელი იყო, თანაც, როგორც სწავლულები აცხადებენ, ქსოვილის ტრანსფორმაციის მეთოდი ძალიან იაფია და არც მავნე ნივთიერებებს წარმოშობს.



# ჰოროსკოპი
## 18 ოქტომბერი

**ვერძი** — დღეს სამსახურში განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ, ვარსკვლავები გირჩევენ, ჯანმრთელობას მიაქციოთ ყურადღება და ნაკლებად აყვეთ პროვოკაციებს. არ არის გამორიცხული დაგეგმილი შეხვედრა ჩაგეშალოთ.

**კურო** — დღე სასიკეთოა — თუ კარგად იშრომებთ, სასურველ შედეგსაც მიიღებთ. არსებული პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ ახლობლების რეკომენდაციები.

**ტყუპები** — დღე, შესაძლოა, უსიამოვნებით დაიწყოს, რასაც მოთმინებით უნდა შეხვდეთ — მხოლოდ ასე აარიდებთ თავს მოსალოდნელ კონფლიქტს.

**კირჩხიბი** — წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი, მაგრამ რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავეთ და კარგად გააანალიზეთ ყოველი ნაბიჯი.

**ლომი** — ფინანსური დანაკარგი გელით, რაც თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება. პრობლემის მოსაგვარებლად, ურიგო არ იქნება, კონსულტაცია ბიზნესპარტნიორებთან გაიაროთ და მათი რეკომენდაციები გაითვალისწინოთ.

**ქალწული** — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში — რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება გეზარებათ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ბიზნეს და პირადი ინტერესების გამიჯვნა, მხოლოდ თქვენთვის იქნება უკეთესი.

**სასწორი** — არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად გაიგოს თქვენი აქტიურობა, ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში.

**ღრიანკალი** — მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ ფინანსურ ოპერაციებში, დღის მეორე ნახევარში კი შეეცადეთ, დრო ოჯახის წევრებისთვისაც გამონახოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

**მშვილდოსანი** — დღე უფროსებთან კამათს გიქადით, მაგრამ მთლიანობაში მოლაპარაკება ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მიმართავთ. მიმდინარე საქმე არც ისე რთული, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება.

**თხის რქა** — დაკავებული ხართ და არ გყოფნით დრო ურთიერთობისთვის, მით უმეტეს, რომ ფინანსური პრობლემები მარტივად არ გვარდება. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერ საქმეში მცირე რისკის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევთ.

**მერწყული** — სასიხარულო ცნობას მიიღებთ და კარიერული წინსვლაც გელით, თუმცა ურიგო არ იქნება, მხოლოდ სამსახურზე თუ არ ჩაიციკლებით და დიდი ხნის უნახავ მეგობრებსაც მოინახულებთ.

**თევზები** — დღე შესანიშნავია პაემნისთვის — ცოტა ხნს სამსახური შეგიძლიათ გვერდზე გადადოთ, მით უმეტეს, რომ ვარსკვლავები გირჩევენ, მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გაფორმება სხვა დროისთვის გადადოთ.




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

# სამსახურში მშობლების დღე დააწესეს




დასაქმებულებს კარგად ესმით, რას ნიშნავს მშობლებისა თუ მეუღლის მომაბეზრებელ კითხვაზე პასუხის გაცემა — რატომ რჩები სამსახურში გვიანობამდე? რამდენი გაქვს ხელფასი? რატომ მოდიხარ ასეთი დაღლილი? და სხვა. ფსიქოლოგების თქმით, როგორი ჰარმონიულიც უნდა იყოს სამუშაო გარემო და გრაფიკი, დასაქმებული სტრესს მაინც იღებს, ყველაზე უსიამოვნო კი, სამსახურის შემდეგ მომაბეზრებელ კითხვებზე პასუხის გაცემაა, რომელიც ნორმალური დასვენების საშუალებას არ ილევა. შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ამერიკული ვებ-გვერდის LinkedIn ადმინისტრაციამ ყოველი წლის 7 ნოემბერი თანამშრომელთა „მშობლების დღედ“ გამოაცხადა — ამ დროს კომპანიაში დასაქმებულებს აბეზარი ნათესავები მიჰყავთ და იმ გარემოს აცნობენ, სადაც მთელი წელი მუშაობენ.

# ფეხი საკუთარი ხელით მოიჭრა



ჩინელმა მამაკაცმა, რომელიც უსახსრობის გამო ქირურგთან ვერ მივიდა, დაზიანებული კიდური საკუთარი ხელით მოიჭრა. 47 წლის ჯენგ იანლინგი აუტანელი ტკივილისგან იტანჯებოდა — ფეხში ინფექცია შეეჭრა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა, მაგრამ არც დაზღვევა ჰქონდა და არც საჭირო თანხა, ამიტომ მამაკაცმა დანისა და ხერხის გამოყენებით, მტკივანი ფეხი მოიჭრა და ჭრილობა პირსახოცით გადაიხვია. ჩინელმა ეს პროცედურა მაშინ ჩაიტარა, როცა ოჯახის წევრებს ეძინათ. საბედნიეროდ, თრომბოზის გამო, ავადმყოფს ამპუტაციის დროს ძლიერი სისხლდენა არ დაწყებია.



# ჰოროსკოპი
## 19 ოქტომბერი

**ვერძი** — ზედმეტი ცნობისმოყვარეობა ბევრ პრობლემას შეგიქმნით, თუმცა სამსახურეობრივი უსიამოვნება ნელ-ნელა მოგვარდება და არც ისაა გამორიცხული, ახლობელი ადამიანისგან მეტად სახარბიელო საქმიანი წინადადება მიიღოთ.

**კურო** — დღე, შესაძლოა, სავსე იყოს მოულოდნელობებით, მაგრამ თქვენი ოპტიმიზმი და სიმტკიცე წარმატებისთვის სასიკეთო პირობებს შექმნის.

**ტყუპები** — დადგა დრო ბიზნესი გააფართოვოთ — საქმიან პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულება წარმატებული აღმოჩნდება, თუმცა ვარსკვლავები გირჩევენ, ზედმეტად არ გარისკოთ.

**კირჩხიბი** — დღეს არის ალბათობა, კონფლიქტურ ვითარებაში აღმოჩნდეთ — მხოლოდ თქვენი თავდაჯერებულობის წყალობით მოძებნით გამოსავალს.

**ლომი** — დრო ახლო მეგობრების კამპანიაში გაატარეთ და არსებული პრობლემები დროებით დაივიწყეთ. ნერვიულობით ვერაფერს შეცვლით, მხოლოდ პრაგმატული აზროვნებით დაარეგულირებთ გარშემომყოფებთან ურთიერთობას.

**ქალწული** — თავი ხელში აიყვანეთ და ეცადეთ დაძლიოთ თქვენი სისუსტე. ახლა წვრილმანებზე ფიქრის დრო არ არის — დაწყებული საქმე ყურადღებისა და ენერგიის მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს.

**სასწორი** — გარშემომყოფები თქვენგან თანადგომასა და მხარდაჭერას ელიან. მშვიდად შეხვიდეთ ამ ამბავს და ბოლომდე მოუსმინეთ მათ, თუმცა რეალობას არ მოსწყდეთ.

**ღრიანკალი** — გირჩევთ, ნაკლებად დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია და მაქსიმალურად დაალაგოთ ურთიერთობა კოლეგებთან. თქვენი თავდადება დასაფასებელია, მაგრამ გაიხსენეთ, რომ სამსახურის გარდა, ცხოვრებაში ბევრი სასიამოვნო რამ არსებობს.

**მშვილდოსანი** — დღეს ძალიან წაგადგებათ ფიზიკური დატვირთვა, რადგან მხოლოდ ასე არ გადადგამთ დაუფიქრებელ ნაბიჯებს და ნაკლებად გაამახვილებთ ყურადღებას წვრილმანებზე.

**თხის რქა** — არსებული ფინანსური პრობლემები დიდ დროსა და ენერგიას გართმევთ. მოსალოდნელია ურთიერთობის გართულება უფროსობასთან — ნაკლებად იაქტიურეთ და შესაფერის დროს დაელოდეთ თქვენი პოზიციის დასაფიქსირებლად.

**მერწყული** — აჯობებს, დღეს დაწყებული საქმე დაასრულოთ — აღარ ღირს გადადება, მით უმეტეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება პრობლემები შეგექმნათ სამსახურში.

**თევზები** — ადვილი შემოსავლის მიღების ცდუნებამ, შესაძლოა, სულელური ნაბიჯი გადაგადგმევინოთ. აჯობებს, კარგად დაფიქრდეთ, რამდენად გიღირთ ეს ყველაფერი მოსალოდნელ უსიამოვნებად.

# ბერლუსკონი მეეზოვე გახდება



იტალიის ექსპრემიერი სილვიო ბერლუსკონი, შესაძლოა, უახლოეს მომავალში რომის სოციალური სამსახურის თანამშრომელი გახდეს. ფინანსური მაქინაციებისთვის ბერლუსკონის ოთხწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა იტალიური სასამართლო სისტემა ხანშიშესული — 70 წელს გადაცილებული პირების მიმართ ჰუმანურია და კანონის მიხედვით, პატიმრობას შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოთი ცვლიან. ბერლუსკონის ადვოკატიც აპირებს, ამ დღეებში მილანის სასამართლოში ოფიციალური თხოვნა შეიტანოს, მისი კლიენტისთვის პატიმრობის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე, ამ მხრივ კი, სილვიოს არჩევანი არც ისე დიდი აქვს: ავადმყოფების ან მოხუცების მოვლა, ან ქუჩების დასუფთავება.

## სამძიმარი

„ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს კოლეგისა და მეგობრის, აჩიკო კაიკაციშვილის მამის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. უფალმა დაუმკვიდროს ბატონ ზურაბს საუკუნო სასუფეველი. მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს კი, გამძლეობა მისცეს. ამინ!



# ჰოროსკოპი
## 20 ოქტომბერი

**ვერძი** — დღე ხელსაყრელია ხელოვანი ვერძებისთვის — მოგზაურობა წარმატებული იქნება და კარიერაში კიდევ ერთი საფეხურით წაიწევთ წინ. ზედმეტად არ გარისკოთ და ეცადეთ, სტაბილურობა შეინარჩუნოთ ნებისმიერ სფეროში.

**კურო** — წინა პლანზე პროფესიული პასუხისმგებლობა და მატერიალური მოთხოვნილება გადმოდის. სამსახური დაგიცავთ ზედმეტი განცდისგან.

**ტყუპები** — თქვენი შრომა კარგად ანაზღაურდება, მხოლოდ საქმეზე კონცენტრირება მოგიწევთ და სხვა ყველაფრის გვერდზე გადადება. გაითვალისწინეთ, რომ ეს დროებითი დისკომფორტი სამომავლოდ მხოლოდ დადებითად აისახება თქვენს კარიერაზე.

**კირჩხიბი** — დღეს ისეთი ადამიანებისგან იგრძნობთ მხარდაჭერას, ვისი იმედიც საერთოდ არ გქონდათ, თუმცა გარკვეული სიფრთხილე მაინც გმართებთ.

**ლომი** — პარტნიორთან ურთიერთობით დიდ სიამოვნებას მიიღებთ, თუ თქვენი შეხვედრის მოტივი პერსპექტიული ბიზნესწინადადება იქნება. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის — უბრალოდ თქვენ შეიძლება მოგბეზრდეთ ზედმეტი სტაბილურობა.

**ქალწული** — მოგწონთ თქვენი სამუშაო და თავის ისე გრძნობთ, როგორც თევზი წყალში, მაგრამ დროა, გარისკოთ და სამომავლოდ მოღვაწეობის სფეროც შეიცვალოთ — მხოლოდ ასე შეძლებთ შესაძლებლობების ბოლომდე რეალიზებას.

**სასწორი** — ნაყოფიერი მუშაობისთვის სასარგებლო იქნება მარტო დარჩენა. დროსტარება სხვა დროისთვის გადადეთ, რადგან დღის განმავლობაში ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეგიძლიათ. გაქვთ შანსი, საიმედო პარტნიორის მხარდაჭერა მიიღოთ.

**მორიელი** — ოჯახური საქმეების მოგვარება არ გაგიჭირდებათ. ხელსაყრელი დროა მშობლების მონახულებისა და მათზე ზრუნვისთვის. წარმატებით გადაიჭრება ფინანსური პრობლემები, თუ ახლობლების დახმარებაზე უარს არ იტყვით.

**მშვილდოსანი** — ახლობლების დახმარებით ყველაზე რთულ პრობლემებსაც ადვილად მოაგვარებთ, მაგრამ ძალიან სწრაფად მოქმედებთ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ცოტა ხანში მარტო აღმოჩნდებით.

**თხის რქა** — დღეს საიმედო პარტნიორს შეიძენთ, გაფორმებული ხელშეკრულებაც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდება. მთავარია, ინტუიციამ არ გიღალატოთ და საკუთარი შესაძლებლობები ადეკვატურად შეაფასოთ.

**მერწყული** — ხელსაყრელი დღეა საქმიანი შეხვედრისთვის, თუმცა ახლობლების წყენა რომ არ დაიმსახუროთ, ცოტა დრო მათთვისაც გამონახეთ.

**თევზები** — მოგიწევთ, დაემორჩილოთ წესებს, რომლებიც თქვენს ირგვლივ მოქმედებს. გახსოვდეთ, რომ გამონაკლისი არ ხართ და არც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იმსახურებთ.

# სასმელის გემოს გარემო განსაზღვრავს



ერთსა და იმავე პროდუქტს განსხვავებული გემო აქვს იმისდა მიხედვით, თუ სად დააგემოვნებთ მას. ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა სცადეს გაერკვიათ, როგორ ზემოქმედებს გარემო გემოვნურ თვისებებზე. ექსპერიმენტისას მოხალისეებს ერთსა და იმავე ხარისხის ვისკის გასინჯვას სთავაზობდნენ, მაგრამ სხვადასხვა გარემოში და შესაბამისად, მონაწილეები სამ ჯგუფად დაყვეს: პირველი ჯგუფისთვის განკუთვნილ ოთახში ბალახის სუნი იდგა, მეორეში — ტკბილი არომატი, მესამეში კი ხის სურნელი ტრიალებდა და შეშის ჩეხვის ხმაც ისმოდა. როგორც კვლევის მონაწილეებმა განაცხადეს, „ბალახიან“ ოთახში ვისკის ბალახის გემო დაჰკრავდა, „ხის“ ოთახში — ხის გემო, „ტკბილ“ ოთახში კი სასმელი ტკბილი მოეჩვენათ.

# მშობლებმა ბავშვები დანომრეს



ჩინეთის ერთ-ერთ ქალაში, კეძროდ შენჩჟენში, დედ-მამამ პირველკლასელი ოთხი ტყუპი ვარცხნილობით დანომრა, რადგან მასწავლებლებსა და თანაკლასელებს უჭირდათ ბავშვების ცნობა. აღსანიშნავია, რომ ტყუპები, მართლაც, გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს და პრობლემების თავიდან ასაცილებლად, მშობლებმა „ციფრებიანი ვარცხნილობა“ გაუკეთეს შესაბამისი ნომრებით — 1, 2, 3, 4. ახლა ბიჭებს სახელებით კი არა, ციფრებით მიმართავენ, რაც ფსიქოლოგების განცხადებით, ბავშვების ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედებს.

# ავღანელ კაცებს აკვაპარკი გაუხსნეს



საკმაოდ კონსერვატიულ ავღანეთში პირველი აკვაპარკი გახსნეს, თუმცა წყლის ატრაქციონებზე სრიალი მხოლოდ ძლიერი სქესის წარმომადგენლებისთვისაა დაშვებული და დრეს-კოდიც მოქმედებს: კაცებს მუხლამდე საცურაო შორტი უნდა ეცვათ. აკვაპარკის სტუმრებს კი მრავალფეროვანი გასართობები ელით — რამდენიმე აუზი, ჯაკუზი, საუნა, რესტორანი და სათამაშო მოედანი ახალგაზრდებისთვის.

# სარკეში ყურება აბერებს?

ამერიკელი სწავლულები გვარწმუნებენ, რომ ადამიანი რაც უფრო ხშირად იხედება სარკეში, მით სწრაფად ბერდება. ეს დასკვნა 15-წლიანი ექსპერიმენტის საფუძველზე გამოიტანეს, რომელშიც რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მკვლევარები სპეციალური ზემგრძნობიარე მაგნიტურტალღოვანი დეტექტორის მეშვეობით აკვირდებოდნენ მოხალისეების ორგანიზმს სარკეში ყურებისას და აღმოაჩინეს, რომ ვინც დიდ დროს ატარებდა სარკის წინ, რამდენიმე წუთში დაღლილობას გრძნობდა, დროთა განმავლობაში კი მეხსიერებაც უუარესდებოდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სარკე ადამიანის ენერგიის აკუმულირებას ახდენს და ერთგვარ ენერგოვამპირად გვევლინება.



ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125
დაცვის პოლიცია




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).







